კულტურული მემკვიდრეობის დამცველის გზამკვლევი



კულტურული მემკვიდრეობა

რატომ ვიცავთ?

რისგან ვიცავთ?

ვინ იცავს?

როგორ ვიცავთ?

საკანონმდებლო ჩარჩო

ორგანიზაციების ცნობარი

ტექსტის რედაქტორი: მანანა გოშაძე
დამკაბადონებელი და დიზაინერი: ნინო კუბლაშვილი

გამოცემის კოორდინატორი: მანანა თევზაძე
© „ლურჯი ფარის“ საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 2017
© Blue Shield Georgia, 2017
ყველა უფლება დაცულია

www.blueshield.ge
info@blueshield.ge

ამ პუბლიკაციის გამოცემა დაფინანსებულია შვედეთის მთავრობის მიერ. მის შინაარსზე პასუხისმგებელია გამომცემელი. წინამდებარე წიგნში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს შვედეთის მთავრობის პოზიციას.

ISBN: 978-9941-0-9619-8

7 რა არის კულტურული მემკვიდრეობა?
9 მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა
10 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

13 რატომ ვიცავთ?
13 მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ღირებულებები
15 კონსერვაციის მოძრაობის ისტორია

17 რისგან ვიცავთ?
18 კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეები

25 ვინ იცავს?
25 ვინ შეიძლება იყოს კულტურული მემკვიდრეობის აქტივისტი - რატომ მე?
26 ვისთან ვიმუშაოთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით?

33 როგორ ვიცავთ?
33 სამოქალაქო კამპანიები – SAVE-ის გამოცდილება
35 სამოქალაქო კამპანიების ისტორია საქართველოში
40 სამოქალაქო კამპანიები, ძირთადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები

51 მემკვიდრეობის სფეროს საკანონმდებლო ჩარჩო და მემკვიდრეობის მართვის სქემა

59 ორგანიზაციების ცნობარი
62 ბიბლიოგრაფია
64 ტერმინთა განმარტება

წინასიტყვაობა

წინამდებარე ბროშურა წარმოადგენს პირველ მცდელობას, შექმნილიყო რესურსი კულტურული მემკვიდრეობითა და მისი დაცვით დაინტერესებული აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისათვის. ის ერთ გამოცემაში უყრის თავს აქამდე გამოცემულ სხვადასხვა ტექსტს, მაგრამ, იმავდროულად, შეიცავს ახალ მასალასაც, რომელიც, ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება კულტურული მემკვიდრეობის სფეროთი დაინტერესებული აქტივისტებისათვის.

წიგნი, ერთი მხრივ, განმარტავს კულტურული მემკვიდრეობის ცნებას, ჩამოთვლის მის კატეგორიებს, საუბრობს მის მრავალმხრივ მნიშვნელობასა და ღირებულებებზე; აღწერს მის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს. დაბოლოს, მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების როლზე კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში, აღწერს რა ამ მხრივ არსებულ გამოცდილებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და გვაწვდის კონკრეტულ და პრაქტიკულ რჩევებს აქტიური საზოგადოებრივი კამპანიების წარმოებისათვის. ბროშურაში აგრეთვე მიმოხილულია კულტურული მემკვიდრეობის მართვის სქემა და საკანონმდებლო ჩარჩო საქართველოში. ძირითად ტექსტს ერთვის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციათა ცნობარი და ქართულ ენაზე გამოცემული თუ თარგმნილი ლიტერატურის სია, აგრეთვე ტერმინთა განმარტებები.

ბროშურაში გამოყენებულია მასალები ICOMOS საქართველოს პუბლიკაციიდან: „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა," თბილისი, 2014, რისთვისაც მადლობას ვუხდით გამომცემელს.

ტექსტზე მუშაობდნენ: მანანა თევზაძე, დიანა კაკაშვილი, მაქი კვიციანი, გიორგი მელაძე, მარინე მიზანდარი, ანა შანშიაშვილი, გიორგი ჩიტიძე. ტექსტზე მუშაობაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით: სოფო გელავას, ლიკა იმერლიშვილსა და ლელა ნინოშვილს.

ავტორთა გუნდისათვის საინტერესოა მკითხველის ყველა შენიშვნა და რჩევა, რისთვისაც გთხოვთ გამოგვეხმაუროთ, რომ თქვენი შენიშვნების საფუძველზე შევიმუშაოთ და მოვამზადოთ უფრო დახვეწილი ტექსტი მეორე გამოცემისათვის. ჩვენი საკონტაქტო ელ-ფოსტაა: Info@blueshield.ge

„ლურჯი ფარის" საქართველოს ეროვნული კომიტეტი მადლობას უხდის პარტნიორ ორგანიზაციას შვედეთიდან: „კულტურული მემკვიდრეობა საზღვრებს გარეშე" (Cultural Heritage without Borders) და დონორს - „შვედეთის ინსტიტუტს" (Swedish Institute) პროექტში „კულტურული მემკვიდრეობა საფრთხის ქვეშ – სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ჩართვა" თანამშრომლობისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის.

რა არის კულტურული მემკვიდრეობა (კ.მ.)

კულტურული მემკვიდრეობა ის სიმდიდრეა, რომელიც წინაპრებისგან გვერგო და რომლის მესაკუთრენიც ყველანი ვართ. ეს არის ადამიანის არსებობის, მისი სამყაროსადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოხატულება, ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული გარემო, რომელიც ქვეყნის სახეს განსაზღვრავს და თითოეულ ჩვენგანს იმ განსაკუთრებულ მუხტს სძენს, რომელიც მხოლოდ თაობიდან თაობაზე გადაცემული ღირებულებების უფაქიზეს ერთობლიობას შეიძლება გააჩნდეს.

კულტურული მემკვიდრეობა წარსულთან გვაკავშირებს, აწმყოსთვის მყარ საყრდენს გვაძლევს და მომავლისკენ გზას გვიკვალავს. შესაბამისად, მემკვიდრეობა ნებისმიერი ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების ანარეკლადაც გვევლინება. არ არსებობს მემკვიდრეობა სოციუმის, კულტურის ფართო კონტექსტის გარეშე.

სიღნაღი. პანორამა. ფოტო: ლია ბოკუჩავა

კულტურული მემკვიდრეობის ცნებამ ცვლილებები განიცადა. თუკი თავდაპირველად ის მხოლოდ ისტორიული და მხატვრული ღირებულების მქონე ძეგლებს აღნიშნავდა, მე-20 საუკუნეში მემკვიდრეობის ცნება გასცდა მშვენიერს და მოიცვა ყველაფერი, რაც კი ადამიანის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპს შეიძლება ასახავდეს. მის მთავარ მახასიათებლად ამიერიდან არა მხოლოდ ესთეტიკურობა, არამედ ნამდვილობა, ავთენტურობა გვევლინება. მისდამი მოპყრობის, მისი დაცვის მთავარი კრიტერიუმიც მისი ნამდვილობის შენარჩუნებაა, ანუ, წრფელი დამოკიდებულება იმ ფასეულის მიმართ, რომელსაც შელამაზება არ სჭირდება. ამ ნაღდის, ნამდვილის დაცვაა კულტურული მემკვიდრეობის სწორად განვითარების უცილობელი პირობა.

კულტურული მემკვიდრეობა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საქართველომ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში შემოინახა კვალი, ასე მაგალითად: სოფლის მეურნეობით თუ დავინტერესდებით, აღმოვაჩენთ ამ დარგის ჩასახვის, კერძოდ, მიწათმოქმედებისა და მევენახეობის განვითარების ადრეული ეტაპის დამადასტურებელ არქეოლოგიურ მასალას;

ალმაცგირ კვიციანის დარბაზ-მაჩუბი, სვანეთი, სოფელი მაზერი ფოტო: ხატია მაღლაფერიძე

მეტალურგიის საწყისებს თუ ჩავეძიებით, სამთამადნო საქმის საიდუმლოს ფლობის მანიშნებელ უნიკალურ ძეგლებს მივადგებით; მედიცინას თუ შევეხებით, გვერდს ვერ ავუვლით მედეასა და ოქროს საწმისის მითს, მაგრამ ასევე - ხევსურეთში ბოლო დრომდე შემონახულ ტრეპანაციის ურთულესი ხელოვნების ფლობის დამადასტურებელ ხელით ნაჭედ სამედიცინო იარაღებს. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საამაყო ძეგლებს თუ ვეწვევით, გაგვაოცებს შემოქმედებითი აღმაფრენა და სამშენებლო საქმის ზედმიწევნით ცოდნა. ასევე ადვილად აღმოაჩენს კაცი საქართველოში საინჟინრო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო თუ სხვა დარგის ფლობის მანიშნებელ უტყუარ ფიზიკურ, ზეპირსიტყვიერ, მუსიკალურ თუ წერილობით კვალს.

მემკვიდრეობის მრავალფეროვნება ის ნიადაგია, რომელიც უსაზღვრო ასპარეზს უქმნის ხელოვანს, შთააგონებს, ფართო ხედვას უვითარებს და, ამდენად, პირდაპირ კავშირშია შემოქმედებით თავისუფლებასთან.

ადამიანმა შეცვალა გარემო, გარემომ კი გავლენა იქონია ადამიანის შემოქმედებაზე. ამიტომ ცნება მემკვიდრეობა იხმარება როგორც კულტურული, ისე ბუნებრივი ძეგლების აღსანიშნავად. ზოგი ძეგლი აერთიანებს ორივეს და განეკუთვნება ე.წ. „შერეული მემკვიდრეობის" კატეგორიას.

ბუნებრივ მემკვიდრეობას განეკუთვნება:

- თვითნაბადი ლანდშაფტები;
- სამეცნიერო ან ესთეტიკური ღირებულების გეოლოგიური და ფიზიკური ფორმაციები;
- ტერიტორიები, რომლებიც მოიცავს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სამყოფელს, მაგალითად, ნაკრძალები;
- მღვიმეები.

არსებობს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. ერთიანობაში ეს არის იმ საზოგადოების კულტურული ღირებულება, რომელმაც შექმნა იგი.

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

მატერიალური, ანუ ფიზიკურად აღქმადი, ხელშესახები, მემკვიდრეობა, თავის მხრივ, იყოფა მოძრავ და უძრავ მემკვიდრეობად.

უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებია:

- არქიტექტურული ნაგებობები და ძეგლები;
- ისტორიული ცენტრები;
- ნაგებობათა ჯგუფები;
- არქეოლოგიური ძეგლები;
- კლდეში ნაკვეთი საცხოვრისები;
- კულტურული ლანდშაფტები;
- ისტორიული პარკები და ბაღები;
- ინდუსტრიული ძეგლები.

მოძრავ კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება:

- სამუზეუმო, საარქივო, საბიბლიოთეკო კოლექციები;
- ხელნაწერები.

კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა კულტურული ლანდშაფტი, რომელიც მრავლად და მრავალფეროვანი სახით არის წარმოდგენილი საქართველოში. ტერმინი მომდინარეობს გერმანული სიტყვიდან Landschaft, ხოლო ინგლისურში აღინიშნება სიტყვით „landscape". კულტურული ლანდშაფტი განიმარტება, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული არეალი და/ან ბუნებისა და ადამიანის მოქმედებით შექმნილი მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების მომცველი ერთიანი სისტემა. ეს არის ბუნებრივი გარემო ან ტერიტორია, სადაც ადამიანის ჩარევაზე მიუთითებს ტრადიციული შენობები ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. კულტურული ლანდშაფტის მაგალითებია: ვენახის და ხეხილის ტერასები, ზეთისხილის ან პალმის

ალაზნის ველი - კულტურული ლანდშაფტი.
ფოტო: ზურაბ ცერცვაძე

ჭალები, ციტრუსების ან ბამბის პლანტაციები, ბრინჯის ტერასები და სხვ. ხშირად აგრარული კულტურისა და ტრადიციული დასახლების არეალები ხდება ლანდშაფტის ნაწილი და აყალიბებს კონკრეტული რეგიონის სახეს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (ა.კ.მ.)

კულტურული ლანდშაფტების, ძეგლებისა თუ სამუზეუმო კოლექციების გარდა, ჩვენს იდენტობასა და კულტურულ მრავალფეროვნებას წინაპრებისგან გადმოცემული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ქმნის, რასაც დღეს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას ვუწოდებთ. ეს ტერმინი „იუნესკოს“ 2003 წლის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციამ” შემოიტანა და დაამკვიდრა. ამ კონვენციის მიღება, თავის მხრივ, გლობალიზაციის საფრთხეების გააზრებამ და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობამ განაპირობა.

გიორგი ტატულაშვილი. ხალხური კერამიკის ოსტატი.
ფოტო: ანა შანშიაშვილი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა უაღრესად მრავალფეროვანია. ის მოიცავს სფეროებს ხალხური პოეზიიდან კულინარიამდე, ხელსაქმიდან ტრადიციულ მედიცინამდე და ა.შ., თუმცა ყველა ეს დარგი ძირითად ხუთ მომიჯნავე სახეობაში ერთიანდება:

- ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- საზოგადოებრივი პრაქტიკები;
- გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება;
- ხელოსნობის დარგები და ტექნიკები.

„იუნესკოს“ ა.კ.მ.-ის კონვენცია ასევე იცავს ენას, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის საშუალებას, ა.კ.მ.-სთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს, საგნებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის
კონცეფციისთვის აუცილებელი ფაქტორია:

1. ტრადიციულობა და, იმავდროულად, მისი
   თანამედროვე ყოფაში გამოყენება;
2. საზოგადოების, თემებისა და ჯგუფების მიერ
   ა.კ.მ.-ის ელემენტის საკუთარ მემკვიდრეობად გააზრება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მატერიალური კულტურული მემკვიდრეობისგან განსხვავებით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს ცოცხალ ტრადიციას, სადაც აუცილებელია ტრადიციის ცოცხალი მატარებლებისა და თაობიდან თაობაზე გადაცემის პროცესის არსებობა. ამასთან, ცოცხალი ტრადიცია მუდმივ ინტერპრეტაციას განიცდის, შესაბამისად, „დაცვა"-ში იგულისხმება არა მისი კონსერვაცია, არამედ კვლევა და ინვენტარიზაცია, საზოგადოებაში პოპულარიზაცია და ფორმალური და არაფორმალური სწავლების ხელშეწყობა.

კონვენცია არ აღიარებს ტრადიციებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს. ასევე უარყოფს ყოველგვარ იერარქიას ა.კ.მ.-ის ელემენტებს შორის.

ა.კ.მ.-ის კონვენციის ეფექტური განხორციელებისათვის „იუნესკომ" რამდენიმე ნუსხა შექმნა:

1. მსოფლიო ხელთუქმნელი შედევრების ნუსხა;
2. საფრთხის წინაშე მყოფი ა.კ.მ.-ის ნუსხა;
3. ა.კ.მ.-ის დაცვის საუკეთესო პრაქტიკების ნუსხა.

საქართველო „იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას" 2007 წელს მიუერთდა, რითიც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები.

რატომ არის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება?

რატომ ვიცავთ? მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ღირებულებები

კულტურული მემკვიდრეობა ის საფუძველია, რომელიც გვამოძრავებს, წინსვლისკენ გვიბიძგებს, ჩვენს იდენტობას განაპირობებს და საკუთარ თავში რწმენას გვაძლევს. ეს არის გენეტიკური გამოცდილების, ცოდნისა და კეთილდღეობის წყარო, რომელსაც გაშიფვრა, გაცხადება და მომავალი თაობისათვის გადაცემა სჭირდება.

თითოეულ მოქალაქეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი როლი, პასუხისმგებლობა და უფლება მემკვიდრეობის დაცვისა და პატრონობის საქმეში. 1897 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა“. ჩვენს წინაპართა შრომით შექმნილი მემკვიდრეობა ის საგანძურია, რომლის შენარჩუნება ხელისუფალთა ვალდებულებაც უნდა იყოს და საქართველოს რიგითი მოქალაქის ძალისხმევაც.

კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავს სოციალური ჯგუფების თვითმყოფადობას

იგი ადგილობრივი თემის, ერისა თუ ქვეყნის ისტორიული, მხატვრული, ესთეტიკური, პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, სამეცნიერო და სხვა ღირებულებების მატარებელია. შესაბამისად, სოციალური ჯგუფები საკუთარ იდენტობას/თვითმყოფადობას ინარჩუნებს კულტურული მემკვიდრეობის მეშვეობით, იქნება ეს მატერიალური თუ არამატერიალური მემკვიდრეობა.

კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენს ხალხთა მრავალფეროვნების შემეცნებისა და ურთიერთგაგების გაღრმავების საშუალებას

ყველა ხალხისა თუ ერის კულტურა საზრდოობდა სხვა ხალხის კულტურით და თავისი წვლილიც შეჰქონდა სხვა ერებისა თუ ქვეყნების კულტურულ გარემოში. მემკვიდრეობა არის კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურათა შორის არსებული კავშირების დანახვის საუკეთესო საშუალება.

კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია ქვეყნისა თუ ადგილობრივი თემის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის; ამ უძვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. ბევრი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსად იქცა კულტურული ტურიზმი. რაციონალურად დაგეგმილი მემკვიდრეობის ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს, აუმჯობესებს ადგილობრივ ინფრასტრუქტურას და, შესაბამისად – ადგილობრივი თემის ცხოვრების პირობებს. აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის გააზრება არა მხოლოდ ჩვენი წარსულის მონაპოვრად, არამედ როგორც აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელ ნაწილად.

გასათვალისწინებელია ის რისკ-ფაქტორებიც, რომლებიც თან სდევს უკონტროლო მასობრივ ტურიზმს, კერძოდ, მისი უარყოფითი გავლენა როგორც ადგილობრივ თემზე, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ გვმართებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არის ის, რომ ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არაგანახლებადი რესურსია. განადგურებული საგანძურის განმეორება ან აღდგენა შეუძლებელია, ამიტომ კულტურული ფასეულობის განადგურება შეუვსებელი დანაკარგია მთელი კაცობრიობისათვის.

ღირებულებები

ღირებულება განისაზღვრება, როგორც საზოგადოების მიერ საგნისათვის გარკვეული ფარდობითი ხარისხის მიკუთვნება. კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ობიექტის კულტურულ და ეკონომიკურ მნიშვნელოვნებას. რიგი ღირებულება უკავშირდება ძეგლის სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორიცაა: მხატვრული გადაწყვეტა, მასალა და ხელობა, სხვა ღირებულებები კი შეიძლება უკავშირდებოდეს მის ადგილმდებარეობას და ობიექტის გარემოსთან ურთიერთობის თავისებურებას. კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებია: თვითმყოფადობის, მხატვრული, ტექნიკური, იშვიათობის, ეკონომიკური, ფუნქციური, სოციალური, შემეცნებითი, პოლიტიკური, სიმბოლური, რელიგიური, სხვ.[1]

1 კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებათა აღნიშნული ჩამონათვალი და მათი განმარტება შეგიძლიათ იხილოთ ბ. ფილდენისა და ი. იოკილეტოს წიგნში „მსოფლიო კულტურული მემკვიდროების ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრონციპები“, თბილისი, 2007. ელ. ვერსია ხელმისაწვდომია საიტზე: https://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/martva-book.pdf

კონსერვაციის მოძრაობის ისტორია



როგორც მოძრაობას, არქიტექტურულ კონსერვაციასა და უძველესი ნიმუშების დაცვას ბიძგი მიეცა მე-18 მე-19 საუკუნეებში. ეს იყო პასუხი მოდერნიზმზე და მის არქიტექტურულ პერსპექტივაზე, რომელმაც უარყო ძველი არქიტექტურული სენტიმენტალიზმი და ჩაანაცვლა ახალი ტექნოლოგიებითა და არქიტექტურული პროგრესით. ამ დრომდე ხანდაზმული შენობები მხოლოდ იმ შემთხვევაში ინარჩუნებდნენ იერსახეს, თუ რაიმე განსაკუთრებული კულტურული ან რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდათ ან ჯერ კიდევ აღმოუჩენელი იყო. არქიტექტურული კონსერვაციის მოძრაობის განვითარება და ზრდა დაიწყო კონკრეტული არქეოლოგიური აღმოჩენებისა და მეცნიერული პროგრესის პარალელურად. ამ სფეროში გათვითცნობიერებულმა ხალხმა დაიწყო არქიტექტურული ნიმუშების გარჩევა, როგორც "სწორი" და "არასწორი". აქედან გამომდინარე, არქიტექტურის კონსერვაციის სფეროში ორი სკოლა ჩამოყალიბდა. შენარჩუნება/ კონსერვაცია გამოიყენებოდა არქიტექტურული სკოლის მიმართ რომელიც მხარს უჭერდა ზომების მიღებას, რომელიც დაიცავდა და შეინარჩუნებდა ძეგლებს არსებულ მდგომარეობაში ან თავიდან აიცილებდა შემდგომ ზიანს და მდგომარეობის გაუარესებას. არქიტექტურული აზროვნების ეს სკოლა მიიჩნევდა ძეგლის თავდაპირველ, ორიგინალ სახეს მართებულად. კონსერვაცია/შენარჩუნების ორი ყველაზე აქტიური მომხრე მე-19 საუკუნეში იყვნენ: ხელოვნების კრიტიკოსი ჯონ რასკინი და ხელოვანი უილიამ მორისი. პირველ მაგალითად, როდესაც თეორიული ცოდნის გამოყენება მოხდა კონსერვაციის მიზნებისთვის, მაინც მიიჩნევა „უძველესი შენობების დაცვის საზოგადოების" შექმნა დიდ ბრიტანეთში 1877 წელს. საზოგადოება უილიამ მორისმა და ფილიპ უებმა დააარსეს. ორივე ჯონ რასკინის იდეების მიმდევარი იყვნენ.

რესტავრაციას უწოდებდნენ კონსერვაციონისტების სკოლას, რომლის მიმდევართაც სჯეროდათ, რომ ისტორიული შენობების გაუმჯობესება და ზოგჯერ დასრულებაც შესაძლებელია, თანამედროვე ტექნოლოგიის, მასალისა და დიზაინის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით, ის წააგავს მოდერნისტულ არქიტექტურულ თეორიას იმ განსხვავებით, რომ ის არ გულისხმობს უძველესი შენობების განადგურებას. ამ თეორიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მხარდამჭერი მე-19 საუკუნეში იყო ფრანგი არქიტექტორი და თეორეტიკოსი ჟენ ვიოლე-ლე-დიუკი, რომელმაც სახელი შუასაუკუნეების შენობების აღდგენით გაითქვა. შუა საუკუნეების ტაძრების ვიქტორიანული რესტავრაცია ფართოდ იყო გავრცელებული ინგლისში და სხვაგანაც, რასაც იმ პერიოდში გმობდა უილიამ მორისი და ეს დღესდღეობითაც უარყოფილია.

რისგან ვიცავთ? კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეები

რა საფრთხის წინაშე დგას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა დღეს?

კულტურული მემკვიდრეობა არ არის მუდმივი. მისი დაზიანება შეუქცევადი პროცესია, რომელიც შეგვიძლია დროში გავწელოთ, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ავიცილებთ. ადამიანები ვერ აცნობიერებენ ამ ფაქტს. ვინაიდან მემკვიდრეობა გადაურჩა ასწლეულებს და ათასწლეულებსაც კი, ხალხს ჰგონია, რომ ის მარადიულია. სინამდვილეში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციები დროთა განმავლობაში იკარგება, ხოლო ნებისმიერი წარმოშობის მასალა, რისგანაც შექმნილია ძეგლი თუ ექსპონატი, დროთა განმავლობაში ზიანდება, ფიზიკური, ბიოლოგიური ან ქიმიური ზეგავლენების შედეგად ან ადამიანის მიზეზით.

დაზიანებას განსაზღვრავს გარემო, შენახვის პირობები და მასალა, რომლისგანაც ის მზადდება. მაგალითად, გრანიტი და პორფირი მაგარი და უკიდურესად გამძლე ქვებია, ქვიშაქვა კი, პირიქით, შედარებით მყიფეა და ადვილად ექვემდებარება ქარითა და წყლით გამოწვეულ ეროზიას. როგორც წესი, მდგომარეობის გაუარესება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, თუკი ძეგლის გარემო და საგნის შენახვის პირობები მეტ-ნაკლებად სტაბილურია.

ამ ბოლო ასი წლის განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა არა მხოლოდ ბუნებრივი პროცესების, არამედ ისეთი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების გამოც, როგორიცაა: ინდუსტრიის სწრაფი განვითარება, ურბანული განვითარება, მზარდი ტურიზმი, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები თუ ტერორიზმი. ანალოგიური ფაქტორები სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას: ზეპირსიტყვიერ ტრადიციებს, ადათ-წესებსა და ხალხურ ხელოვნებას.

ამასთანავე, მსოფლიოში კულტურულ მრავალფეროვნებას უმნიშვნელოვანეს საფრთხეს უქმნის გლობალიზაცია, რაც განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს ადგილობრივი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული თუ რეგიონალური იდენტობის განმსაზღვრელი ღირებულების დაცვის საკითხს.

საფრთხის ტიპები

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის წინაშე მდგარი საფრთხეები როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანური ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული. ეს საფრთხეები რისკის ქვეშ აყენებს ნაგებობებს, ძეგლებს, ისტორიულ და არქეოლოგიურ ადგილებს და მუზეუმში, არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში დაცულ კოლექციებს.

გამოყოფენ დაზიანების ნელ და პროგრესირებად მიზეზებს, როგორიცაა, მაგ., არასწორი ტემპერატურული რეჟიმი, მაღალი ტენიანობა, შუქი/ულტრაიისფერი ნათება, ნალექი, დაბინძურებული ჰაერი, მარილის კრისტალიზაცია, მღრღნელები, მწერები, ჩიტები, ვეგეტაცია.

კლიმატი (ყინვა, მზე, წვიმა)

დღე-ღამის განმავლობაში ტემპერატურის ხშირი ცვალებადობა იწვევს არქიტექტურული ნაგებობის კედლის წყობაში შეღწეული წყლის აორთქლებასა და კონდენსირებას ან მის გაყინვასა და დნობას. მსგავსი გაყინვა/დნობის ციკლები დროთა განმავლობაში საგრძნობლად აზიანებს ნებისმიერ მასალას.

ქვის დაზიანება, გელათის წმინდა გიორგის ტაძარი. 2011 წ. ფოტო: ლელა ნინოშვილი

დაბინძურება (სამრეწველო და გაზის გამონაბოლქვი)

დამაბინძურებლების წვიმის წყალთან (ე.წ. მჟავე წვიმა) შერევა იწვევს საშენი მასალის ზედაპირზე შავი ქერქის წარმოქმნას და ეროზიას. დაბინძურება არის ძეგლის დაზიანებისა და ცვეთის უმთავრესი მიზეზი, განსაკუთრებით – მარმარილოს, კირქვისა და კირხსნარით ნაშენი ნაგებობისათვის. დაბინძურება სერიოზულ ზიანს აყენებს ბრინჯაოსაც.

სინათლე

ხილული და ულტრაიისფერი სხივები ისევე, როგორც ნათებით გამოყოფილი სითბო, იწვევს ორგანული წარმოშობის ობიექტების (ქაღალდი, ხე, ტექსტილი, ფოტოსურათები და სხვა) გამოშრობას, გამყიფებასა და გაუფერულებას.

ტენიანობა, ნესტი და აღმავალი ნესტი

კონკრეტული მასალის მახასიათებლების შესაბამისად, ჭარბ ტენიანობას სხვადასხვა სახის ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. მაგალითად, ის იწვევს მეტალის კოროზიას, ქაღალდის ბოჭკოს გაბერვასა და ხის მასალის გაფართოებას. წყალი სახლის საძირკვლისა და აგურის ან ქვის წყობის დაზიანებების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. წყალი ხელს უწყობს დამაბინძურებელი ნივთიერებების ურთიერთქმედებას, ასევე მიკროორგანიზმების, წყალმცენარეებისა და სარეველა მცენარეების ზრდას, საშენ მასალაში ხსნადი მარილების წარმოქმნასა და მოძრაობას, რის შედეგადაც ხდება სამშენებლო მასალის გამოფიტვა და ეროზია.



ჩიტები, პარაზიტები, მღრღნელები და სხვა

ხე, ტყავი, მატყლი და ქაღალდი თაგვების, ვირთხებისა თუ სხვადასხვა ტიპის მწერებისათვის სასურველი საკვებია. ჩიტისა და ღამურას სკორე შეიცავს მჟავებს, რაც ქვისა და ბრინჯაოს კოროზიას იწვევს.

ვეგეტაცია

მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილ ძეგლებზე ხშირად ვხვდებით მცენარეულ საფარს, რომელიც ფარავს ძეგლის კედლებს ან იზრდება მის სახურავზე და საფრთხეს უქმნის მის მდგრადობას. მიკრო ორგანიზმების მეტაბოლიზმის პროცესის დროს გამოყოფილი ნივთიერებები იწვევს ქვის დაშლასა და გამოფიტვას, იმავდროულად, მცენარეების ფესვები და სპორები მექანიკურ ზიანს აყენებენ საშენ მასალას.

ნუ შეეცდებით მცენარეების მოცილებას არქიტექტორ-რესტავრატორის გარეშე, შესაძლოა, ამით მეტი ზიანი მიაყენოთ ძეგლს, ვიდრე სარგებელი მოუტანოთ. მცენარეების მოცილების პროცესში ჩართული უნდა იყოს მიკრობიოლოგი და ტესტირებების საფუძველზე შერჩეული პესტიციდით უნდა მოხდეს დაზიანებული მონაკვეთების მკურნალობა, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება მიკროორგანიზმებისა და მცენარეების ნაკლები მექანიკური ზიანის გარეშე მოშორება. მკურნალობის შემდეგ აუცილებელია სიცარიელეების ამოვსება შესაბამისი ხსნარით, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება ძეგლის სტაბილურობას და არსებობს ბიოლოგიური საფარის კვლავ გაჩენის რისკი.

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეულ საფრთხეებს შორისაა

გათბობის, სანთლების, ბუხრისა და მსგავსი ენერგიის წყაროების ზემოქმედებით გამოწვეული დაბინძურება ან დაზიანება.
ძეგლთან ახლოს დანთებული კოცონი, შიდა სივრცეში არასწორად დამონტაჟებული გათბობის სისტემა ან უყურადღებოდ დატოვებული სანთელი თუ ბუხრის ცეცხლი საფრთხეს უქმნის ძეგლებს. ცეცხლი და მისი ჭვარტლი განსაკუთრებით საზიანოა კედლის მხატვრობის ნიმუშებისათვის, ამ დროს გამოყოფილი მაღალი ტემპერატურა იწვევს სამშენებლო მასალის ფიზიკური თვისებების ცვლილებას, ხოლო ადვილად აალებადი მასალის ნაგებობებს, სრულად განადგურების საფრთხის ქვეშ აყენებს.

ჭვარტლის კვალი კედლის მხატვრობაზე. უბისას ტაძარი. 2016 წ. ფოტო: მანანა თევზაძე

ვანდალიზმი

ვანდალიზმის შედეგი ხშირად გვინახავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. არაერთგან გინახავთ, ალბათ, წარწერა ეკლესიის კედელზე, კედლის მხატვრობის ნიმუშზე, ძეგლებზე ამძვრალი და მოსიარულე ადამიანები ან ისინი, ვისაც ისტორიული ძეგლიდან სუვენირად მისი მონატეხი ქვა მიაქვს თან. ყველაფერი ეს, თუნდაც ერთი შეხებაც კი ისტორიულ რელიეფებსა და კედლის მხატვრობაზე, საგრძნობლად აზიანებს საუკუნეებისა თუ ათასწლეულების მანძილზე შემონახულ ჩვენს მემკვიდრეობას. ვანდალიზმი ხდება როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით და ძეგლების მნიშვნელობისა და მათი დაზიანების საფრთხის გაუთვითცნობიერების შედეგად.

არასწორი სარესტავრაციო პრაქტიკა

ხშირად არასწორად წარმოებულმა რესტავრაციამ შესაძლოა, უარყოფითი შედეგი გამოიღოს და უფრო მეტად დააზიანოს ძეგლი, ვიდრე ის იყო რესტავრაციამდე, არასწორად დაგეგმილმა, საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ჩატარებულმა მკურნალობამ, არათავსებადი მასალის გამოყენებამ ან/და ძეგლის ორიგინალი ნაწილის არ გათვალისწინებამ შესაძლოა გამოიწვიოს შეუქცევადი პროცესი და განადგურდეს ღირებული ისტორიული ძეგლი.

უყურადღებობა/ან მიტოვება

როცა შენობა აღარ გამოიყენება კონკრეტული დანიშნულებით, ამ შემთხვევაში საგრძნობლად უარესდება მისი საერთო მდგომარეობა და მკვეთრად იზრდება მისი დაზიანებისა და ცვეთის ხარისხი, ვინაიდან უკვე აღარავინ არის დაინტერესებული ამ შენობის მოვლა-პატრონობის საკითხით, რაც საბოლოოდ იძლევა სავალალო სურათს ძეგლის განადგურების სახით.

განძის მაძიებლები



განძის მაძიებელთა მიერ წარმოებული არალეგალური გათხრები და ლითონის დეტექტორის გამოყენება დიდ ზიანს აყენებს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლებს. მეცნიერული ზედამხედველობის გარეშე ჩატარებული გათხრები ანადგურებს ისტორიულ ინფორმაციასა და მასალას. აღნიშნული ხელს უშლის არქეოლოგებს წარსულის სწორად ინტერპრეტაციაში. ასეთი ვითარება, თავის მხრივ, ხელსაყრელ პირობას ქმნის სიძველეთა არალეგალური ვაჭრობისათვის.

ურბანული განვითარება

მოსახლეობის მატების მზარდი ტემპი და გაფართოებაზე მოთხოვნა იწვევს უკონტროლო ურბანულ განვითარებას, რის შედეგადაც ნადგურდება უძველესი და თვითმყოფადი ხასიათის ნაგებობები, ხშირად – მთელი უბნები თუ ისტორიული ქალაქებიც კი. არქეოლოგიური ძეგლების შემთხვევაში მოჭარბებული ტურიზმით განპირობებული ურბანული განვითარება ემუქრება ძეგლის გარშემო არსებული ლანდშაფტის მთლიანობასა და ცხოვრების ტრადიციულ წესს.

აღნიშნული ფაქტორების კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შედეგი განსხვავებულია. ზოგი მათგანი ძეგლს მყისიერად და სამუდამოდ აზიანებს (მაგალითად: მიწისძვრები, ხანძარი და ომი), სხვები კი – თანდათანობით და შესაბამისად, მათი ზემოქმედების შედეგიც მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ხდება ხილული როგორც კოროზიის, ნესტის, სინათლისა და დაბინძურების შემთხვევებში.

არქეოლოგიური ძეგლები განსაკუთრებით დაუცველია კლიმატური პირობების, ქურდობის, ვანდალიზმის, არალეგალური გათხრებისა და ტურიზმის ნეგატიური ზეგავლენისაგან, მაშინ, როდესაც ისტორიული უბნების ძირითად საფრთხეს უკონტროლო ურბანული განვითარება (ახალი

გზების, ავტოსადგომების, ახალი ნაგებობების, დამატებითი სართულების მშენებლობა), შეუფერებელი მოდიფიკაციები ან ფუნქციის შეცვლა, გადატვირთული მოძრაობა, დაბინძურება და სათანადო კანონმდებლობის ნაკლებობა განაპირობებს.

კანონმდებლობის აღსრულების ნაკლებობა

საქართველოს მაგალითზე აღნიშნული საფრთხე საკმაოდ ხელშესახებია. ერთი შეხედვით, თითქოს სახეზეა ყველა საჭირო კანონი იმისთვის, რომ ქვეყანაში ხდებოდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ადმინისტრირება, მაგრამ რეალობა საპირისპიროს აჩვენებს - არსებული საკანონმდებლო დებულებების აღსრულება უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს, მიზეზი, სამწუხაროდ, პოლიტიკური ნების არარსებობაა. ამას მოწმობს ბოლო წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები:

- სახელმწიფო სტრუქტურები თავად არღვევენ კანონით განსაზღვრულ პროცედურებს;
- სახელმწიფო სტრუქტურები უმოქმედობით არ უზრუნველყოფენ კანონის დაცვას;
- სახელისუფლებო სტრუქტურები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის საწინააღმდეგო კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს იღებენ.[2]

აღნიშნული საფრთხის დაძლევაში უდიდესი როლი აქვს აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც არის არასწორი გადაწყვეტილებების სადარაჯოზე, აქტიურად იცავს მემკვიდრეობას, ეწევა სამოქალაქო კამპანიას და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს სასამართლოს. სადავო საკითხების სასამართლო განხილვის პრეცედენტების შექმნის გზით შესაძლებელი იქნება მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობის უკეთ აღსრულება - მემკვიდრეობის დაცვა.

კატასტროფები

აღნიშნული საფრთხეების გარდა, ბუნებრივი მოვლენები, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, ცუნამი, მეწყერი თუ სხვა წარმოქმნიან კატასტროფის საფრთხეს. კატასტროფის გამომწვევი შეიძლება გახდეს ადამიანური მიზეზით წარმოქმნილი, ანუ ანთროპოგენული,

2 „გზა მომავლისკენ“, თბილისი, 2014, ICOMOS, საქართველო.

იკორთის ტაძარი 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ. ფოტო: ICOMOS საქართველო

საფრთხეები, როგორიცაა: ომი, ტერორიზმი, სამოქალაქო არეულობა, ხანძარი თუ სხვა და ასევე ტექნოგენური საფრთხე. კატასტროფას სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტზე აქვს გავლენა. კატასტროფის დროს კულტურული მემკვიდრეობა ზიანდება და ნადგურდება როგორც განგებ, ისე ირიბად. კატასტროფის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების ხარისხს განსაზღვრავს მისი მოწყვლადობის დონეც. მაგალითად, რაც უფრო დაუცველია ძეგლი (არის სარესტავრაციო, არ ჰყავს მეპატრონე) მშვიდობიანობაში, მით უფრო მატულობს მისი კატასტროფის დროს დაზიანების ხარისხის ალბათობა. რისკს წარმოქმნის საფრთხეს დამატებული მოწყვლადობა.



შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი კატასტროფის რისკი განსაკუთრებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობისათვის და მზადყოფნისა და რეაგირების განსაკუთრებულ და განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს.

საქართველო, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან, ბუნებრივი და ადამიანთა მიზეზით წარმოქმნილი არაერთი საფრთხის წინაშე აღმოჩენილა თავისი არსებობის მანძილზე და კვლავაც მაღალი რისკის ქვეშაა, შესაბამისად მნიშვნელოვანია, კატასტროფისათვის მზადყოფნის მექანიზმების არსებობა კატასტროფის რისკის შემცირებისა და მისგან მიყენებული ზიანის ხარისხის შემცირების მიზნით.

კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება

კატასტროფის შედეგად დაზიანებული მემკვიდრეობის გადასარჩენად გაწეული სამუშაოების აღსანიშნავად საგანგებო რეაგირების ნაცვლად ბოლო დროს აქტიურად გამოიყენება ტერმინი „პირველადი დახმარება“. კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება აღნიშნავს თავდაპირველ და ერთმანეთთან დაკავშირებულ ღონისძიებებს საფრთხის წინაშე არსებული კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და

არამატერიალური) შეფასების, დოკუმენტაციის, პრიორიტეტების დასახვის, უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციის მიზნით. ის მოიცავს სამ ძირითად ფაზას:

1. სიტუაციის ანალიზი,
2. ადგილზე კვლევა,
3. უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებები.

აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას ფართო მასშტაბზე სისტემური გზით.

ვინ შეიძლება იყოს კულტურული მემკვიდრეობის აქტივისტი - რატომ მე?

ხშირად გაიგონებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა და მასზე უნდა იყოს მინდობილი. საქართველოსა და არა მხოლოდ საქართველოს მაგალითზე ხშირად დავრწმუნებულვართ, თუ რამდენად გულუბრყვილო შეიძლება იყოს ჩვენი, მოქალაქეების, და მსოფლიო საზოგადოების მოლოდინი. სახელმწიფოები, მიუხედავად კონსტიტუციით და კანონებით დადგენილი ვალდებულებებისა, აშკარად ან შემოვლითი გზების გამოყენებით ცდილობენ საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს დაუქვემდებარონ მემკვიდრეობის მართვის საკითხები და ეს მოსალოდნელიცაა. თუმცა, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ კულტურული მემკვიდრეობა სხვა საკითხებთან მიმართებით ნაკლებად პრიორიტეტული აღმოჩნდება ხოლმე და ამით მემკვიდრეობაცა და საზოგადოების მისწრაფებაც, შეინარჩუნოს მის იდენტობასთან დაკავშირებული გარემო, მარცხს განიცდის და მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის ძეგლები ერთი მეორის მიყოლებით ქრება რუკებიდან.

არ შეიძლება, ამგვარმა რეალობამ არ დაგვაფიქროს და გულგრილი დაგვტოვოს. განა მხოლოდ სამართლებრივი ინსტიტუტი - სახელმწიფო - უნდა იყოს პასუხისმგებელი ჩვენთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანი მეხსიერების შენარჩუნებაზე? ბუნებრივია, რომ ვერ იქნება და ჩვენც, თითოეული მოქალაქე ამ სახელმწიფოში და ძალიან ბევრი გულშემატკივარი საზღვრებს გარეთ, ვცდილობთ საკუთარი წვლილი შევიტანოთ მემკვიდრეობის გადარჩენის საქმეში.

სახელმწიფოსა და ადამიანს შორის არსებულ საზღვრებსა და ხიდებზე დაუსრულებლად შეიძლება წერა და კამათი, თუმცა, ფაქტია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებზე არანაკლებ ეფექტურად ძეგლების დაცვა აქტიურ მოქალაქეებსაც შეუძლიათ, თუ საკუთარ ქმედებებს წარმართავენ გააზრებულად, სტრატეგიულად და შეთანხმებულად. საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც საზოგადოებას საკუთარი ბერკეტები გააჩნია სახელმწიფოზე ზემოქმედების მოსახდენად. ამ ბერკეტებს შორის ყველაზე ეფექტური არჩევნებია, როდესაც მოქალაქეები ვწყვეტთ, სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელება ვის უნდა მივანდოთ. რაც უფრო ნათლად იქნება დაფიქსირებული ჩვენს არჩევანში კულტურული

მემკვიდრეობის დაცვის პრიორიტეტი, მით მეტი იქნება მის მიმართ ყურადღებაც და მონდომებაც, რომ საზოგადოების დაკვეთა შესრულდეს.

არჩევნები, რა თქმა უნდა, არ არის ერთადერთი ინსტრუმენტი და ამ თავში მოცემული მცირე ინფორმაციაც მიზნად ისახავს იმ გზებისა და შესაძლებლობების გამოკვლევას, რომელიც მემკვიდრეობის უსაფრთხოების გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

კულტურული მემკვიდრეობის აქტივისტი/დამცველი ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება გახდეს. სპეციალური ცოდნის არქონა ამ საქმიანობას ართულებს, თუმცა ბევრია ლიტერატურა და ყოველდღე უფრო მრავლდება იმგვარი გამოცემები, რომლებშიც მარტივად და მოკლედაა განმარტებული როგორც კონკრეტული ძეგლების მნიშვნელობა, ისე კულტურული მემკვიდრეობის შინაარსი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობენ სპეციალური ორგანიზაციებიც, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნავენ და ნებისმიერი ასეთი ორგანიზაცია, იმავდროულად, საზოგადოებაში ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებასაც ემსახურება. არ დაგვავიწყდეს, რომ კულტურული მემკვიდრეობის პრიორიტეტად ქცევა საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

ვისთან ვიმუშაოთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით?

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მრავალ განსხვავებულ ინტერესს მოიცავს და ყველა ამ ინტერესს საკუთარი წარმომადგენელი და დამცველი ჰყავს. ამიტომაცაა, რომ ეფექტური აქტივიზმი ვერ იქნება ჩაკეტილი, არამედ უნდა გულისხმობდეს განსხვავებული პასუხისმგებლობის, პროფესიისა და ინტერესის მქონე ადამიანებთან თუ ჯგუფებთან მუშაობას. აქ მხოლოდ რამდენიმე ძირითად სამიზნე ჯგუფს გამოვყოფთ:

პოლიტიკოსები

ამ სიტყვას ხშირად იყენებენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღები პირების მიმართ. ჩვენთანაც სწორედ ეს შინაარსი აქვს სიტყვას და მასში პარლამენტარებს, მთავრობის წევრებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს ვგულისხმობთ. პოლიტიკოსების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული კანონებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის წესების შექმნა, ტენდერები, რომელშიც ხშირად კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებიც ხვდება და, სამწუხაროდ, დემონტაჟის მიზნითაც

იყიდება, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტატუსი ეხსნება ძეგლს და სხვ. ამიტომაც აქტივისტები დიდ დროს უნდა უთმობდნენ პოლიტიკოსებთან მუშაობას, მემკვიდრეობის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდებასა და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის კამპანიებით მათ დაყოლიებასა და იძულებას, გააუქმონ საზიანო გადაწყვეტილებები ან, საერთოდაც, უარი თქვან მათ მიღებაზე.

მემკვიდრეობის სპეციალისტები

მემკვიდრეობის დაცვა დიდადაა დამოკიდებული იმ სპეციალისტებზე, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის მრჩევლებად მუშაობენ და იკავებენ ოფიციალურ თანამდებობებს კომისიებსა და საბჭოებში, სადაც მემკვიდრეობის საკითხები გადის განსახილველად. ხდება, რომ საზოგადოება არ უცხადებს ნდობას მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. სამწუხაროდ, ხშირადაა, რომ სპეციალისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პოლიტიკური გავლენის ან პირადი მიკერძოების გამოა მიღებული. ამიტომ აუცილებელია მუდმივი მუშაობა და ღია, გამჭვირვალე წესით კამათი ამ სპეციალისტებთან მათი გადაწყვეტილებებისა და პოზიციების სააშკარაოზე გამოტანის მიზნით. ასეთ პირობებში იქმნება საზოგადოებრივი „წნეხი“, რომელიც ამცირებს პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობას ან ასეთი გავლენის მოხდენის შემთხვევაში ზრდის მის პოლიტიკურ „ფასს“, ანუ მთავრობისთვის სახელგამტეხია.



ჟურნალისტები

საზოგადოების მობილიზება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამის განხორციელება კი, მიუხედავად სოციალური ქსელების არსებობისა, დიდწილადაა დამოკიდებული ჟურნალისტების ეფექტურ ჩართულობაზე. ხშირია შემთხვევები, როცა ჟურნალისტები არ იცნობენ მემკვიდრეობის დაცვის საბაზისო ცნებებსა თუ იდეებს და ცდილობენ რთული პრობლემის მარტივად ფორმულირებას, როდესაც, სამწუხაროდ, ხშირად იკარგება მთავარი შინაარსი. ამ პრობლემის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია ჟურნალისტებთან მუდმივი კონტაქტი, იმ ჟურნალისტების იდენტიფიცირება, რომლებიც ინტერესს იჩენენ თემის მიმართ და მათთვის ინფორმაციის მუდმივად მიწოდება. ამგვარი შეხვედრები შეიძლება არც იყოს ოფიციალური. პირიქით, არაფორმალურ გარემოში შეკრება უფრო მეტად საინტერესოც არის, ხელს უწყობს პირადი კავშირების გაძლიერებას.

იურისტები

მემკვიდრეობის დაცვა დაკავშირებულია სამართლებრივ პროცედურებთან. ბევრ იურისტს არა აქვს სპეციალური ცოდნა, რომელიც ამ სფეროში სამუშაოდაა აუცილებელი. მემკვიდრეობის დაცვა შედარებით ახალი დარგია და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მწირია, რაც აძნელებს მათ ინტეგრირებას საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. ცოტაა იურისტი, რომელიც ამ მიმართულებით ერკვევა სამართლებრივ ნიუანსებში, რაც აძნელებს სახელმწიფოს გადაწყვეტილებების მონიტორინგს და საზიანო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლას. მემკვიდრეობის აქტივისტებისათვის მნიშვნელოვანია იურისტების დაინტერესება ამ სფეროთი და არა მხოლოდ ერთ ქალაქში, არამედ ყველა რეგიონში, რათა სწრაფად მოხდეს რეაგირება ადგილობრივი თვითმმართველობების და თვითმმართველი ქალაქების მიერ მიღებულ საზიანო გადაწყვეტილებებზე.

ინვესტორები

ინვესტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში. მსხვილი ინვესტიციებით შენდება საცხოვრებელი უბნები, საწარმოები და ა.შ. თუმცა, შენებასთან ერთად, შესაძლოა, მემკვიდრეობას საფრთხე შეექმნას, რადგან ახალ პროექტს დასჭირდება ადგილის „მოსუფთავება“, „ნანგრევების“ მოშორება და ა.შ. ხშირად ინვესტორებს არ ესმით იმ კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება, რომელიც მათ „ეღობებათ“ გზაზე ჩაფიქრებული პროექტის განხორციელებისას. შესაძლოა, „ზედმეტადაც“ მიიჩნევდნენ ამ თემაზე ფიქრს, რადგან სერიოზული პროექტი ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს და პროექტის მენეჯერებიც მეტად ფიქრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ უკეთ იციან. მემკვიდრეობის აქტივისტებს ხშირად აქვთ წინასწარი ნეგატიური განწყობა ინვესტორებთან ურთიერთობისას, რაც ხელს უშლით კონსტრუქციული დიალოგის წარმოებაში, იწვევს კონფლიქტს და ართულებს მოლაპარაკებების პროცესს. ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორებთან მუდმივი მუშაობა და მათთვის წარმატებული თანამშრომლობის მოდელების გაცნობა, ახსნა იმისა, რომ კულტურული მემკვიდრეობა არ არის „ზედმეტი ტვირთი“, არამედ შესაძლებლობაა, რომლის სწორად გამოყენებაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათი პროექტის ღირებულებასა და მიმზიდველობას ბაზარზე. მნიშვნელოვანია, რომ აქტივისტთა ჯგუფებმა შეძლონ ინვესტორის მიერ შემოთავაზებული, მემკვიდრეობისათვის საფრთხის შემქმნელი პროექტის არა მხოლოდ გაპროტესტება და მისი განხორციელების შეჩერება, არამედ ასევე ალტერნატიული პროექტის შეთავაზება.

მემკვიდრეობის მესაკუთრეები

მემკვიდრეობის დაცვა შეუძლებელი იქნება, თუ მათი მესაკუთრეები არ გამოიჩენენ სათანადო ყურადღებას. მიუხედავად კანონში არსებული გარანტიებისა, შეუძლებელია მემკვიდრეობის დაცვა, თუ მესაკუთრეებს კარგად არ ესმით დაცვის სტანდარტები და გზები. მესაკუთრეების ნაწილი ცდილობს, ყველა ღონე იხმაროს ამ ობიექტისათვის მემკვიდრეობის სტატუსის მოსახსნელად, რადგან სტატუსი მათ ხელს უშლის სხვადასხვა სარემონტო სამუშაოს შესრულებაში ან ინვესტორის მოძიებაში. კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობებში მცხოვრებლებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არა აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გასწიონ რესტავრაციასთან დაკავშირებული ხარჯები. აქაც მნიშვნელოვანია აქტიური საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება და მემკვიდრეობით სარგებლობის წარმატებული გამოცდილების გაზიარება. აქტივისტები მუდმივ კონტაქტს უნდა ინარჩუნებდნენ მესაკუთრეებთან, სთავაზობდნენ მათ მემკვიდრეობის პოპულარიზაციის განსხვავებულ გზებს და სხვადასხვა ქვეყანაში არსებული წარმატებული გამოცდილების საფუძველზე ეხმარებოდნენ განვითარების პროექტების შემუშავებაში.

რელიგიური ორგანიზაციები და სასულიერო პირები



საქართველოში მემკვიდრეობის დიდი ნაწილი რელიგიური მიზნებისათვის იყო აშენებული და საკონსტიტუციო შეთანხმების თანახმად კომისიური წესითაა დაგეგმილი მისი გადაცემა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. ბევრია სხვა რელიგიური თემის კულტურული მემკვიდრეობაც, რომლის ნაწილსაც ფლობენ და განკარგავენ რელიგიური მიზნებისთვის აღნიშნული თემები და ნაწილიც სავალალო მდგომარეობაშია და სახელმწიფოსაგან უყურადღებოდაა მიტოვებული. მფლობელობაში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებითაც ძალიან მძიმე მდგომარეობაა და ბევრგან მემკვიდრეობის დაცვის ელემენტარული წესებია იგნორირებული. აქტივისტებისათვის აუცილებელია რელიგიურ ორგანიზაციებთან და სასულიერო პირებთან მუდმივი მუშაობა, განმარტებითი-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და არა მხოლოდ ძეგლების მონიტორინგი. ხშირად სასულიერო პირები ერიდებიან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას და ამ დროს აუცილებელი ხდება იერარქიით მათ ზემდგომ პირებთან შეხვედრა და შეთანხმებების მიღწევა.

არ უნდა დაგვავიწყდეს მრევლის როლიც. შეიძლება მრევლი, საკუთარი ინიციატივით ცდილობდეს ძეგლის „აღდგენას“ ან პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებდეს პოლიტიკოსებზე სხვადასხვა სამუშაოს განხორციელებისათვის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. ისეთ ადგილებში,

სადაც მემკვიდრეობის დაზიანების რისკი მაღალია, აუცილებელია ფართო საგანმანათლებლო/საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და თუნდაც მოკლე პერიოდით, მაგრამ ინტენსიურად ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის და მოსალოდნელი რისკების ახსნა.

სტუდენტები

სტუდენტებზე ბევრს არ დავწერთ. ცოტას თუ წარმოუდგენია სამოქალაქო აქტივიზმი სტუდენტური ენერგიისა და ენთუზიაზმის გარეშე. ხშირად სტუდენტების ჩართვა აქტივიზმის ბოლო ეტაპზე ხდება და – მხოლოდ რადიკალური პროტესტის ორგანიზებისას. მემკვიდრეობის აქტივისტები მხოლოდ „გაჭირვების“ ჟამს არ უნდა მიმართავდნენ სტუდენტებს, არამედ მუდმივად ინარჩუნებდნენ მათთან კავშირს უნივერსიტეტში მოწყობილი საჯარო ლექციების, პრეზენტაციების, კინოჩვენებებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების გზით. მუდმივი კონტაქტი და ინფორმაციის გაცვლაა სტუდენტებთან წარმატებული თანამშრომლობის რეცეპტი.

აქტიური მოქალაქეები

მემკვიდრეობის აქტივისტებისათვის აუცილებელია ფართო სოციალური ქსელის შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დახმარების ხელს გაუწვდის აქტივისტებს ფართომასშტაბიანი აქციების ორგანიზებისას. ასეთ ქსელში აუცილებლად იქნებიან პოლიტიკურად აქტიური, ადამიანის უფლებების დამცველი აქტივისტები და ადგილობრივი ლიდერები. კოორდინაცია თანამშრომლობასაც გულისხმობს და მემკვდრეობის აქტივისტებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ კონტაქტების გაბმა პასუხისმგებლობასთან ასოცირდება. პარტნიორების საქმეები მათ რეპუტაციაზეც ახდენს გავლენას და, პირიქით. ამიტომ აუცილებელია აქტიურ ჯგუფებთან თანამშრომლობა, თუმცა ყველასთან თანამშრომლობა, ალბათ, შეუძლებელია, რადგან ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფები არ ჩაერთვებიან კამპანიაში, თუ იქვე იქნებიან რადიკალი და აგრესიული ჯგუფები და არც ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიები მიიღებენ მონაწილეობას საერთო კამპანიაში.

რა შეუძლია გააკეთოს აქტივისტმა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის მიზნით?

კვლევა და ინვენტარიზაცია

ჩვენ გვაქვს არაერთი ტრადიცია, რომელიც დაკარგვის პირასაა და მისი მატარებლების რაოდენობა დღითი დღე მცირდება. დღეისათვის საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ეგიდით მიმდინარეობს ადგილობრივი ა.კ.მ.-ის ელემენტების ნუსხის შედგენა. მიიღე მონაწილეობა ა.კ.მ.-ის შენარჩუნებაში, მოაგროვე ინფორმაცია ჩვენ გარშემო არსებულ ა.კ.მ.-ზე, შეავსე სააღრიცხვო ბარათი და გააგზავნე მასზე მითითებულ მისამართზე!

საზოგადოებაში პოპულარიზაცია

საზოგადოება ხშირად ვერ აფასებს კ.მ.-ის მნიშვნელობას, შესაბამისად, ა.კ.მ.-ის მატარებლები საყოველთაო ყურადღების მიღმა რჩებიან. მოაგროვე ინფორმაცია ცოცხალი მატარებლების შესახებ, გაუწიე მათ პოპულარიზაცია სოციალური ქსელებითა და სხვა მედია საშუალებების მეშვეობით!



ფორმალური და არაფორმალური სწავლების ხელშეწყობა

განათლების საკითხები სამთავრობო სტრუქტურების პრეროგატივაა, თუმცა ა.კ.მ.-ის შემთხვევაში ბევრი რამ ჩვენზეც არის დამოკიდებული. შეისწავლეთ თქვენ გარშემო არსებული კულტურული მემკვიდრეობა, ა.კ.მ.-ის ელემენტები და თავად გახდით მისი ცოცხალი მატარებლები! ასწავლეთ სხვებს და ამ გზით უზრუნველყავით ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობა!

სამოქალაქო კამპანიები – SAVE-ის გამოცდილება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოებრივი კამპანიების წარმოების მსოფლიოში უნიკალური და კლასიკური მაგალითი შექმნა ბრიტანულმა ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბრიტანეთის მემკვიდრეობამ“ – იგივე SAVE–მა. SAVE-ის გამოცდილება ძალიან შთამბეჭდავია და დღემდე შთააგონებს კულტურული მემკვიდრეობის დამცველებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, წამოიწყონ ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივი კამპანიები და არ შეუშინდნენ წინააღმდეგობებს. მისმა აქტივისტებმა წლების მანძილზე შეძლეს, განადგურებისაგან დაეცვათ ისტორიულ შენობათა ფართო სპექტრი – საგვარეულო სახლები, ეკლესიები, თავლები და მერიის შენობები, საწყობები, ბაზრები და კინოთეატრები.

SAVE-ი 1975 წელს დაარსდა და დღემდე აქტიურად იცავს კულტურულ მემკვიდრეობას და ცდილობს, გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრს და ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობაზე და აჩვენოს, რომ თავდა-პირველ ფუნქცია დაკარგული კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლის შენარჩუნებაც შესაძლებელია. SAVE-ის, ძეგლთა დაცვითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა განაპირობა იმ დროისათვის ბრიტანეთში არსებულმა სიტუაციამ, როდესაც უმოწყალოდ განადგურდა ათასობით ისტორიული შენობა, მათ შორის – უმოქმედოდ დარჩენილი ეკლესიები, საგვარეულო ვილები, ბაღები, პარკები, კინოთეატრები, საავადმყოფოები თუ სხვა. მისი შექმნა დაეფუძნა მოსაზრებას, რომ ისტორიული არქიტექტურის განადგურება გარდა იმისა, რომ შლიდა წარსულის კვალს და ვიზუალურად ამახინჯებდა გარემოს, ეკონომიკურად და ეკოლოგიურადაც გაუმართლებელი იყო.

SAVE-მა საქმიანობა გამოფენის მოწყობით დაიწყო, სადაც გამოაშკარავდა 1875-1974 წლებში დანგრეული 1200-მდე ძეგლი. განადგურებული საგვარეულო სახლების ნუსხა ქვეყანაში მოქმედ ყველა გაზეთს დაეგზავნა და პრაქტიკულად ყველა გამოეხმაურა. SAVE-მა მალევე შეძლო გამხდარიყო აქტიური ორგანიზაცია, შემოიკრიბა სპეციალისტების წრე და აწარმოვა კამპანიები არქიტექტურული ძეგლების გადასარჩენად. მათი სტრატეგია მდგომარეობდა შემდეგში: შეესწავლათ, რამდენად მნიშვნელოვანია შენობა არქიტექტურულად და ისტორიულად? იყო თუ არა ის შეტანილი ძეგლების ნუსხაში და თუ არა, იმსახურებდა თუ არა ის ძეგლის სტატუსს. SAVE-ის კამპანიის შედეგად, არაერთ ღირებულ შენობას მიენიჭა დაჩქარებული წესით

ძეგლის სტატუსი. SAVE-ში სჯერათ და მათ არაერთხელ დაამტკიცეს, რომ ყველა ტიპის ისტორიული შენობა შეიძლება გარდაიქმნას და მას შესწევს უნარი, შეიძინოს ახალი სიცოცხლე. ეს კი ინვესტორებსა და არქიტექტორებს ახალ პოტენციალსა და გამოწვევებს სთავაზობს. SAVE-ის ძალისხმევით არაერთი ისტორიული შენობა, მაგ.: ისტორიული საავადმყოფო, უფუნქციოდ დარჩენილი ეკლესია ან სამრეწველო დანიშნულების ნაგებობა ადაპტირდა და შეითავსა ახალი ფუნქცია ისე, რომ არ დაუკარგავს ისტორიული და მხატვრული ღირებულება. მეტიც, მათ დაამტკიცეს, რომ მსგავსი გარდაქმნა წარმატებული აღმოჩნდა როგორც კომერციული, ისე ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

SAVE-ი საკუთარი კამპანიების წარმოებისას აქტიურად იყენებს როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ მედიასაშუალებებს, აქვეყნებს ანგარიშებს პრობლემურ საკითხებზე, მიმართავს პეტიციების გზას და განსაკუთრებულ შემთხვევებში – სასამართლოსაც. SAVE-ი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ დაგეგმარების (ურბანულ) უწყებებთან, რომელთა მოვალეობაშიც შედის ძეგლებისა და კონსერვაციის არეალების დაცვა, შენობების შეტანა ძეგლთა სიაში, ასევე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობის სფეროცაა კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული გარემოს დაცვა.[3]

ბატერსის ელექტროსადგური
ფოტო: SAVE

ლონდონის ბატერსის ელექტროსადგურის გადარჩენის ისტორია ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია SAVE-ის საქმიანობის ისტორიაში. 1930-50-იან წლებში აგებული 1983 წლიდან უფუნქციოდ დარჩენილი სამრეწველო ნაგებობის დანგრევისგან გადარჩენა SAVE-მა მოახერხა. SAVE-ის კამპანიამ მოახერხა, აეგორებინა საზოგადოებრივი აზრი და ეჩვენებინა, რომ ელექტროსადგურის ხალახალი გამოყენება ახალი ფუნქციით შესაძლებელი იყო. ბატერსის ელექტროსადგური შეტანილ იქნა ძეგლთა ნუსხაში. 1980-იანი წლებიდან დღემდე მისი განვითარების არაერთი პროექტი მომზადდა, თუმცა 2016 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებით, მასში კომპანია „Apple" აპირებს გადასვლას. სარესტავრაციო სამუშაოების დასრულება 2021 წელს არის დაგეგმილი.

SAVE-ს შემუშავებული აქვს ე.წ. გამკლავების გეგმა - როგორ ვებრძოლოთ განაშენიანების ახალ პროეტს, რომლის თარგმანიც მოცემულია დანართში.

3 SAVE-ის საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხ. „SAVE - გადავარჩინოთ ბრიტანეთის მემკვიდრეობა - სამოქალაქო აქტივიზმის სახელმძღვანელოს" ქართული თარგმანი ვებ-გვერდზე: www.blueshield.ge

სამოქალაქო კამპანიების ისტორია საქართველოში

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე ზრუნვა და ამ მიმართულებით საზოგადოების გააქტიურება საქართველოში XIX საუკუნიდან იწყება. ეს, ძირითადად, გულისხმობდა მთელ საქართველოში მიმოფანტული, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ხელნაწერების, საეკლესიო ნივთებისა თუ სხვა ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ნიმუშთა მოძიება-შეგროვებას, ფრესკების ასლების გადაღებასა და ფოტოფიქსაციას. აგრეთვე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების: ხალხური ზღაპრების, ლექსების, სიმღერებისა და წეს-ჩვეულებების ჩაწერას. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იყვნენ საზოგადოებრივი გაერთიანებები: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება“ და სხვ.

საბჭოთა პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაციები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. კამპანიების წარმოებაც, რეჟიმის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოუდგენელი იყო.

კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად საპროტესტო კამპანიების გამართვა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, საბჭოთა სისტემის დასასრულს, იწყება. 1987 წლიდან სტუდენტებმა დაიწყეს გამოსვლები დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დასაცავად, რომელიც საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა იქ გამართული პოლიგონისა და საბრძოლო წვრთნების გამო. სტუდენტთა გაერთიანებების („ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, „უნივერსიტეტის პრესკლუბი“) მიერ მოეწყო არაერთი ხალხმრავალი აქცია. იმ ეტაპზე შესაძლებელი გახდა გარეჯში მიმდინარე პროცესის დროებით შეჩერება.



სამოქალაქო აქტივიზმი უფრო მასშტაბური ხდება მიმდინარე საუკუნის 10-იანი წლებიდან. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები თუ ცალკეული აქტივისტები გაერთიანდნენ ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედნის, ბაგრატის ტაძრის, ძველი თბილისის, საყდრისის და სხვ. დასაცავად. აგრეთვე, ძეგლთა დაცვის კუთხით მიუღებელი გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო ცვილებების საპასუხოდ.

აღნიშნულ საპროტესტო კამპანიებში ჩართული თითქმის ყველა ორგანიზაცია პარალელურად ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობასაც საზოგადოებაში მემკვიდრეობის მიმართ ცნობიერების ასამაღლებლად, რაც ყველაზე კარგი შედეგის მომტანია და ზრდის საზოგადოების ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გააქტიურდა სამოქალაქო სექტორი როგორც კულტურული, ასევე ბუნებრივი მემკვიდრეობის დასაცავად, საზოგადოებაში გაიზარდა მგრძნობელობა ამ მიმართულებით, რაზეც მეტყველებს მცირე საინიციატივო ჯგუფების გაჩენა, რომლებიც ყურადღებით არიან მიმდინარე პროცესების მიმართ და თითქმის რეგულარულად აწყობენ სხვადასხვა კამპანიებს.

უშედეგოდ დასრულდა ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის საპროტესტო კამპანია „გადავარჩინოთ ბაგრატის ტაძარი", რომელთა მონაწილეებიც საჯარო შეხვედრებით, ღია წერილებითა თუ გამოსვლებით ითხოვდნენ სამუშაოების შეჩერებას, რადგან, მათი აზრით, პროექტი შეუქცევად ზიანს მიაყენებდა ძეგლის ისტორიულ და კულტურულ ღირებულებებს, რის გამოც საფრთხის ქვეშ დადგებოდა მისი UNESCO–ის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. კამპანიის საწყის ეტაპზე, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის თხოვნით, შეჩერდა ძეგლზე მიმდინარე სამუშაოები, თუმცა მოგვიანებით ის კვლავ განახლდა და 2012 წელს დასრულდა. 2013 წელს UNESCO-ის მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა განიხილა ბაგრატის საკითხი და დაადგინა, რომ ის აღარ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც იქნა შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში და მოუწოდა საქართველოს მთავრობას, მოეხდინა ბაგრატის ტაძრისა და გელათის სამონასტრო კომპლექსის ხელახლა წარდგენა ახალ საზღვრებში, რაც ფაქტიურად ნიშნავდა ნუსხაში მხოლოდ გელათის მონასტრის დარჩენას.[4]

კარვების აქციისთვის მზადება საყდრისის დასაცავად. დაბა კაზრეთი. 2014 წ. ფოტო: გოგიტა ბუხაიძე

კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ძეგლის დაცვის კამპანიას, რომელიც იყო პირველი პრეცედენტი მასშტაბური კამპანიისა და ძეგლთა დაცვის საკითხის სასამართლო განხილვისა. კამპანიის ფარგლებში მოეწყო არაერთი გამოსვლა, საპროტესტო აქცია როგორც თბილისში, ასევე დაბა კაზრეთში. პროცესმა მიიღო კომპლექსური ხასიათი, რადგან თემა აერთიანებდა არა მხოლოდ კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის საკითხებს, არამედ შრომითი უფლებების საკითხებსაც, ამდენად კამპანიის ფარგლებში მნიშვნელოვნად მოხდა სოციალური საკითხების გაშუქებაც.

4 2017 წლის ზაფხულში "იუნესკოს" მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ბაგრატის ტაძრის გარეშე გელათის მონასტრის ხელახლა შეტანის შესახებ.

საყდრის-ყაჩაღიანს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2006 წლის 30 მარტს მიენიჭა, 2006 წლის 16 ივლისს ობიექტს დაუდგინდა არქეოლოგიური დაცვის ზონა და შემდგომ უკვე 2006 წლის 7 ნოემბერს ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მასზე 9 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გერმანულ-ქართული არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა გაკეთდა.

საყდრისის არქეოლოგიური ძეგლის დასაცავად შეკრებილი სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფო კანცელარიის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე. 2014 წ. ფოტო: გოგიტა ბუხაიძე

2013 წლის 28 მაისს, კულტურის მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც დაადგინეს, რომ ობიექტს სტატუსი მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევით, შესაბამისად 2013 წლის 5 ივლისს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით, ობიექტს გაუუქმდა ძეგლის სტატუსი, აქედან გამომდინარე კომპანია RMG GOLD-ს, რომლის უშუალო ინტერესსაც წარმოადგენდა ოქროს მოპოვება, საყდრის-ყაჩაღიანის რამდენიმე უბანზე სპეციალურად შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე მიეცა სამუშაოების წარმოების უფლება.

2013 წლის 5 აგვისტოს ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ" და არქეოლოგმა ირინა ღამბაშიძემ, რომელიც წლების განმავლობაში ახორციელებდა არქეოლოგიურ კვლევას გერმანულ ჯგუფთან ერთად, საქართველოს მთავრობაში ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრეს საყდრისის ტერიტო-რიაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება, რომლითაც საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაციამაც" გაასაჩივა კულტურის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც კომპანია RMG GOLD-მა მიიღო არქეოლოგიურ ობიექტზე სამთო სამუშაოების ჩატარების ნებართვა.

სამართლებრივი დავების პარალელურად სამოქალაქო პლატფორმამ (არასამთავრობო სექტორმა, საზოგადოებრივმა მოძრაობებმა და დამოუ-

კიდებელმა ინიციატივებმა) წამოიწყო პერმანენტული საპროტესტო კამპანია საყდრისის მაღაროსთან არქეოლოგიური ძეგლის დასაცავად, ისინი ითხოვდნენ უშუალოდ პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურებისაგან დროულ რეაგირებას და ადგილობრივი და მოწვეული ექსპერტების მიერ ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარებას ძეგლზე. კამპანიის ფარგლებში როგორც დედაქალაქში, დაბა კაზრეთშიც გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები და ასევე საერთაშორისო უწყებებს გაეგზავნათ წერილობითი ინფორმაცია, რათა პრევენციული ზომები მიეღოთ ძეგლის ვანდალურად განადგურების წინააღმდეგ.

მიუხედავად კამპანიის წარუმატებლობისა, (2014 წლის 12 დეკემბერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03/266 ბრძანებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის №2/271 ბრძანების საფუძველზე კომპანია „არემჯიმ" საყდრის-ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა და ძეგლი სრულად განადგურდა) საყდრისის კამპანია შეიძლება ჩაითვალოს პირველ წარმატებულ მაგალითად იმისა, თუ როგორ გაერთიანდნენ სხვადასხვა სფეროს საზოგადოებრივი ორგანიზაციები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დასაცავად.

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზემო სვანეთში (ხაიშის თემში) გიგანტური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხის გარშემო კამპანიის წამოწყებას, რომელშიც ჩართული იყო სამოქალაქო საზოგადოების არაერთი წევრი და ერთ-ერთ გრძელვადიან საპროტესტო ტალღად იქცა.
კამპანიიის ფარგლებში ხაიშის საკითხთან დაკავშირებით (ადვოკატირების კუთხით) დღემდე ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა", რომელიც გარემოს დაცვითი კუთხით მუშაობს, არაერთი საპროტესტო აქცია ჩაატარა როგორც დედაქალაქში, ასევე სოფელ ხაიშში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაშიც ბუნებრივ მემკვიდრეობასთან ერთად საფრთხის ქვეშ დგას როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური მემკვიდრეობა.

სამოქალაქო აქტივიზმის ერთ-ერთი საყურადღებო მნიშვნელობის მქონე თემაა „პანორამა თბილისის" პროექტის განხორციელების საკითხი თბილისის ისტორიულ უბანში. 2015-2016 წლებში პროექტს, მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობის" ინიციატივით, აქტიურად აპროტესტებდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჯგუფი. საკითხს სამართლებრივი თვალსაზრისით კურირებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა საჯარო სივრცისთვის", რომელმაც კვლევა გამოაქვეყნა 1985 წლით დადგენილი დამცავი ზონებისა და ისტორიული ლანდშაფტის უკანონო განაშენიანების შესახებ. ასევე საკითხს სამართლებრივი კუთხით განიხილავდა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია".

საპროტესტო კამპანიის ფარგლებში ჩატარდა არაერთი პრესკონფერენცია, სადაც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმ დანაკარგებზე, რომლებიც იარსებებს კულტურული და გარემოს დაცვითი კუთხით პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ასევე აღნიშნულ თემას გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც და დაიგეგმა არაერთი აქცია თვითონ „პანორამა თბილისის" მშენებლობის არეალში.

პროექტ „პანორამა თბილისის" საპროტესტო აქცია, თბილისი, 2016 წ. ფოტო: თამარ ჩქარეული

სამოქალაქო აქტივიზმის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი იყო კამპანია „გაამაგრე გუდიაშვილი". აღნიშნული კამპანია გუდიაშვილის მოედნის დასაცავად დაწყებული საპროტესტო მოძრაობა იყო, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ტფილისის ჰამქარი" და მოქალაქეები: მუსიკოსები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვა. ისინი გარკვეული პერიოდულობით იკრიბებოდნენ სკვერში და აწყობდნენ სხვადასხვა ტიპის აქციებს: კონცერტებს, გამოფენა-გაყიდვებს და სხვა. „გაამაგრე გუდიაშვილი" აპროტესტებდა გუდიაშვილის სკვერში ისტორიული ნაგებობების შუშის კონსტრუქციებით ჩანაცვლებას. ამ მხრივ აღნიშნული კამპანია ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია. „მინიფესტი, როგორც მანიფესტი" - ეს იყო აქციათა სერია „გაამაგრე გუდიაშვილის" კამპანიის ფარგლებში, როდესაც აქციის მონაწილეები გუდია-შვილის მოედნის რამდენიმე ისტორიული შენობის გასხვისებას აპროტესტებდნენ.



კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კუთხით განხორციელებულმა აქტივობებმა დღის წესრიგში დააყენა მათი გააქტიურება და ამ კუთხით ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოებაშიც დისკურსის შექმნას მისი მნიშვნელობის შესახებ.

სამოქალაქო აქტივიზმის ძირითადი პრინციპები

საქართველოს გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ კულტურულ მემკვიდრეობას ბევრი გულშემატკივარი ჰყავს და მათი მოტივაციაც ხშირად განსხვავებულია. ზოგისათვის მემკვიდრეობა ოჯახურ ტრადიციებს უკავშირდება, ნაწილი მემკვიდრეობის რელიგიურმა შინაარსმა მიიზიდა, ბევრი მის სოციალურ და ღირებულებით მნიშვნელობას ანიჭებს უპირატესობას, არიან აქტივისტები, ვისთვისაც მემკვიდრეობა ეკონომიკურ სარგებელთან ასოცირდება, სახელმწიფოს საერთაშორისო როლის გამოკვეთაც არანაკლები ღირებულებაა, რასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვა შესაძლებელს ხდის და ა.შ. არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება არ არის უმნიშვნელო და, პირიქით, შეიძლება ვთქვათ კიდეც, რომ მემკვიდრეობის მდიდარ ბუნებას წარმოაჩენს და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს შორის შეთანხმებების შესაძლებლობას ზრდის. თუმცა ზოგჯერ პირიქითაც ხდება და აქტივისტები არათუ ახლოვდებიან ერთმანეთთან, არამედ კონკურენტებად გრძნობენ თავს და საერთო მიზნის გარშემო გაერთიანების ნაცვლად ერთმანეთის წინააღმდეგ იწყებენ მოქმედებას. ამგვარი სამწუხარო რეალობა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის აქტივისტებს არ აწუხებთ. საქართველოს მაგალითზეც შეიძლება დავაკვირდეთ, რომ მემკვიდრეობის, გარემოს დამცველი, უმცირესობათა ინტერესების დამცველი აქტივისტები იმდენად დიდ დროს უთმობენ ერთმანეთის კრიტიკას, რომ თავდაპირველი, ძირითადი მიზანი განზე რჩებათ ხოლმე.

გამოსავალი, როგორც ბევრი სხვა უთანხმოების დროს, აქაც მარტივია და ოთხი ფაქტორის გათვალისწინებას გულისხმობს:

- გეგმის ქონა;
- არაძალადობრივი მექანიზმების გამოყენება;
- კოორდინაცია;
- დისციპლინა.

გეგმა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა იმდენად კომპლექსური მიზანია, რომ წერტილოვანი აქციებითა და კამპანიებით ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია. ეფექტური კამპანია აუცილებლად გულისხმობს გეგმის ქონას, რომელსაც ექნება როგორც მოკლევადიანი, ისე - გრძელვადიანი მიზნები. არ არის აუცილებელი გეგმა „ქვაში იყოს გამოკვეთილი“, ის შეიძლება იცვლებოდეს, ადაპტირდებოდეს რეალობასთან. გამოცდილი აქტივისტები იტყვიან, რომ ჯობს მომზადებულმა დაიწყო საქმის კეთება, ვიდრე გზადაგზა იფიქრო, რა იყოს შემდეგი ნაბიჯი. ყველაზე კარგი გეგმა მაინც „ხედვის

განაცხადია“, ერთგვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც მოკლედაა ახსნილი კამპანიის მიზანი და შორსმიმავალი ხედვა. „I Have A Dream“, - თქვა მარტინ ლუთერ კინგმა და ამით გააერთიანა ყველა ის იდეა, რომელიც სამოქალაქო უფლებების კამპანიის გარშემო არსებობდა. ასეთი ხედვა, დეტალური გეგმის გარეშე მიტოვებულიც, ნახავს მხარდამჭერებს და შეასრულებს მოტივატორის როლს.

არაძალადობრივი მექანიზმები

არაძალადობრივი მექანიზმების შესახებ განსხვავებული პოზიციები არსებობს. ნაწილისათვის არაძალადობრიობა პასიურობას ნიშნავს. სხვები აქტიურ არაძალადობრივ მოქმედებებზე ლაპარაკობენ. ეფექტური არაძალადობრივი კამპანიები ორივე მიდგომას შეიძლება აერთიანებდეს. აქტივისტებმა თავი არ უნდა შემოიზღუდონ რომელიმე ერთი გზით, არამედ ცადონ ბევრი მიდგომა, თუმცა გაითვალისწინონ ერთი მთავარი წესი - დაუშვებელია ფიზიკური ძალადობა, ქონების განადგურება, ვანდალიზმი. ასეთი მოქმედებები სცდება არაძალადობრიობის ფარგლებს და ფართო საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მიიღებს. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება არაძალადობრივი მექანიზმების ეფექტურობაში, ბოლო პერიოდის სამოქალაქო კამპანიებზე თვალის გადავლებაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მათ უალტერნატივობაში დარწმუნდეს. აქვე დავამატებთ, რომ არაძალადობა ყველა კანონის მორჩილებას არ ნიშნავს. არსებობს „ცუდი“ კანონები ან გადაწყვეტილებები, რომელთა დარღვევაც და რომელთა წინააღმდეგ გამოსვლაც კამპანიის მთავარი მიზანი შეიძლება იყოს. მაგალითად, მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოტანა ტენდერზე, სადაც მყიდველს ევალება მისი დაშლა, არის „ცუდი“ გადაწყვეტილება და მემკვიდრეობის აქტივისტებს აქვთ როგორც კონსტიტუციური, ისე მორალური უფლება, ხელი შეუშალონ ამგვარი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას როგორც სიტყვით, ისე აქტიური მოქმედებით: მისასვლელის ბლოკირებით, აქტის სასამართლოში გასაჩივრებით, ცოცხალი ჯაჭვის შემოვლებით ძეგლის ირგვლივ, სატრანსპორტო საშუალებების ბლოკირებით და ა.შ. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ კონსტიტუციური წესრიგის საფუძველში პროპორციულობის მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოქტრინა იგულისხმება, რომელიც ორი ღირებულების დაპირისპირებისას უფრო ნაკლები ბოროტების სასარგებლოდ იხრება. დაცული სიკეთის ღირებულების კარგად გაცნობიერება მემკვიდრეობის აქტივისტების უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რადგან კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ბევრ სხვა სამართლებრივ სიკეთესთან ერთად, არც მემკვიდრეობა სარგებლობს აბსოლუტური დაცვით.

კოორდინაცია

კოორდინაციის მნიშვნელობაზე ლაპარაკი შეიძლება ზედმეტიც იყოს, მაგრამ სამწუხარო გამოცდილება გვაიძულებს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი საერთოს ძებნის აუცილებლობასა და თანამშრომლობის მცდელობას, ერთი შეხედვით, განსხვავებული მიზნების მქონე პირებთან და ორგანიზაციებთან. კოორდინაციის გარეშე ძნელია სრულმასშტაბიანი კამპანიის ორგანიზება. კამპანია გულისხმობს კანონმდებლობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ცვლილებას, საზოგადოებაში მემკვიდრეობის დაცვის პრინციპების პოპულარიზაციას და ა.შ. ასეთი საქმიანობის წარმოება ბუნებრივად მოითხოვს მეკავშირეებს და მათი მუდმივი ძებნა და კამპანიაში ჩაბმა ეფექტური აქტივიზმის მთავარი ამოცანაა.

დისციპლინა

წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია შეთანხმებების შესრულების გარეშე. ამას ვუწოდებთ დისციპლინას, როდესაც ზედმიწევნით სრულდება შეთანხმებული მოქმედების გეგმა. დისციპლინა ძირითადად აქციების დროს ხდება აუცილებელი, რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გეგმა შეიძლება იცვლებოდეს და ერგებოდეს დროს, მაგრამ კონკრეტული აქციის ჩატარების სცენარი არ შეიძლება სპონტანურად შეიცვალოს, თუ არ ხდება რამე ძალიან მნიშვნელოვანი. დისციპლინა გულისხმობს, რომ შეთანხმება არ უნდა შეიცვალოს, აქციის მონაწილეებმა არ უნდა დაარღვიონ პროტესტის ფორმა, შევიდნენ ძალადობრივ კონფრონტაციაში ოპონენტთან და ა.შ. ხშირად ხდება, რომ კარგად დაგეგმილი კამპანიის მარცხი შეძლება ერთი უდისციპლინო აქტივისტის საქციელმა გამოიწვიოს.

კამპანიის მექანიზმები და მეთოდები

სამოქალაქო კამპანიების თეორეტიკოსები (ჯინ შარპი, პიტერ აკერმანი, ჯეკ დიუვალი) გარდაქმნის რამდენიმე მექანიზმზე საუბრობენ, ესენია: გარდაქმნა, შეწყობა და იძულება. მექანიზმი გულისხმობს რთული ურთიერთობების კომპლექსს, რომლის მოქმედება გადაწყვეტილების მიმღები პირის ან ინსტიტუციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცვლილებას იწვევს.

გარდაქმნა

გარდაქმნა გულისხმობს მცირე ენერგიის დახარჯვით ოპონენტის პოზიციის შეცვლას. მაგალითად, მთავრობამ გადაწყვიტა სტატუსი მოუხსნას მემკვიდრეობის ძეგლს. საპასუხოდ მემკვიდრეობის აქტივისტებმა დაწერეს მიმართვის წერილი პრემიერ–მინისტრის სახელზე და დაასაბუთეს გადაწყვეტილების უმართებულობა. მთავრობამ გადაწყვეტილება შეცვალა. ამგვარ მექანიზმს ვუწოდებთ გარდაქმნას და, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მექანიზმი ხშირად არ ამართლებს, თუმცა აუცილებელია, პირველ ნაბიჯად იყოს გამოყენებული, რაც ოპონენტს მოუსპობს საშუალებას, აქტივისტები დაადანაშაულოს უაზრო რადიკალიზმში. პირველი ნაბიჯი აუცილებლად უნდა იყოს უფრო თანამშრომლობითი ხასიათის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთავრობის მოქმედება აშკარად აგრესიულია და აქტივისტებს კონსტრუქციული მოქმედების დროს არ უტოვებს.

შეწყობა

შეწყობის მექანიზმი მაშინ მუშაობს, როდესაც ოპონენტი არ არის დარწმუნებული ბოლომდე საკუთარ ძალებში და ცდილობს შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას უფრო ღრმა კრიზისის თავიდან ასაცილებლად. ეს ნაბიჯები შეიძლება რეალურიც იყოს და შეიძლება – უფრო სიმბოლურიც. აქტივისტების მზაობა დაიცვან საკუთარი ინტერესები სწორედ ამ მექანიზმის ჩართვის დროს მჟღავნდება. აქტივისტებს კარგად უნდა ესმოდეთ, თუ რა არის მათი მთავარი და დამატებითი ამოცანები, რათა მოახდინონ ეფექტურად მოლაპარაკება და ლავირება, კომპრომისებზე წასვლა და მნიშვნელოვანი ინტერესების შენარჩუნება. შეწყობის მექანიზმი შეიძლება ნებისმიერ დროს დაიბლოკოს და ოპონენტმა გადაწყვიტოს, რომ აღარ უღირს მოლაპარაკების გაგრძელება, ამიტომ ამ მექანიზმის ამოქმედება სიმშვიდის საფუძველი არ არის. მოლაპარაკებების დაწყება წარმატების წინაპირობა არ არის, შეიძლება, პირიქითაც, აქტივისტების დაბნევის, დროის გაყვანის მცდელობაც იყოს და ასეთი მაგალითი არაერთია საქართველოს რეალობაშიც.



იძულება

იძულების მექანიზმი მაშინ გამოიყენება, როცა წინა ორმა შედეგი ვერ გამოიღო ან მემკვიდრეობისთვის საფრთხის შემქმნელი სუბიექტი სწრაფად ცდილობს საქმის ბოლომდე მიყვანას, რათა მემკვიდრეობის დაცვის ინტერესი საერთოდ გააქროს. იძულების მექანიზმი კონფრონტაციას გულისხმობს,

სადაც სრულადაა რეალიზებული სამოქალაქო წინააღმდეგობის ყველა მეთოდი და თუ აქტივისტები გადაწყვეტენ ამ გზით წასვლას, აუცილებელია, კარგად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები და ისე იმოქმედონ. ამ მექანიზმის მოქმედებისას გამარჯვებული მხოლოდ ერთი მხარე გამოდის, ამიტომ უნდა გვესმოდეს, რომ ოპონენტი ადვილად არ დათმობს პოზიციებს. იძულების მექანიზმი წარმატებულია, როდესაც ოპონენტი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ დათმობს პოზიციებს.

არაძალადობრივი კამპანიის მეთოდები

კამპანიებზე ფიქრისას სხვადასხვა ტიპის აქცია წარმოგვიდგება თვალწინ. გამოცდილი აქტივისტები რამდენიმე ჯგუფად ყოფენ ასეთ აქციებს: პროტესტი და დარწმუნება, არათანამშრომლობა, ჩარევა (ინტერვენცია). ამ ჯგუფებს კამპანიის წარმოების მეთოდებს ვუწოდებთ.

პროტესტი და დარწმუნება

ამგვარი აქციების მიზანია, საზოგადოებას გააგებინოს პრობლემის შესახებ და დროისა და ენერგიის შედარებით ნაკლები დანახარჯით სცადოს პრობლემის მოგვარება. ამ მეთოდს ყველაზე ხშირად იყენებენ. ჯინ შარპი პროტესტისა და დარწმუნების რამდენიმე ასეულ ფორმას აღწერს. აქტივისტები შემოქმედებითად უდგებიან პროტესტის ფორმებს და ყოველ წელს ახალი და ახალი სახის აქციები ჩნდება (მსვლელობები, ხმაურის ან მუსიკის ფონზე პროტესტი, სხვადასხვა ტრანსპარანტი და ა.შ.). კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მეთოდის გამოყენება საერთოდ უადგილოა, თუ ძალიან აქტიური მედიის მხარდაჭერა არ გააჩნია.

არათანამშრომლობა

არათანამშრომლობა წინააღმდეგობის ყველაზე ეფექტური და ყველაზე რთული ფორმაა. ამ დროს მოქალაქეები უარს ამბობენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე, არღვევენ კანონს და ამას მასიურად აკეთებენ „ცუდი კანონების“ დამარცხების მიზნით (ბოიკოტი, გაფიცვა). არათანამშრომლობის დროს აქტივისტები ცდილობენ, აქტიურად ჩართონ საერთაშორისო ორგანიზაციები და შეარყიონ მათი მხარდაჭერა მთავრობის მიმართ, თუ დამნაშავე მთავრობაა ან წამოიწყონ მასობრივი კამპანიები კერძო მესაკუთრეების მიმართ, თუ მემკვიდრეობას საფრთხეს უქმნიან კერძო მესაკუთრეები (რელიგიური ორგანიზაციები, ინვესტორები და ა.შ.) ასეთ

კამპანიას დიდი მომზადება, ბევრი მონაწილე და ბევრი რესურსი სჭირდება. მისი გამოყენება მაშინაა მიზანშეწონილი, როცა არსებობს ასეთი მზაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება მოლოდინი, რომელსაც ვერ უპასუხებს მოძრაობა და მოხდება მთლიანად მოძრაობისა და იდეის დისკრედიტაცია.

სოციალური არათანამშრომლობა

სოციალური არათანამშრომლობის განხორციელება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. მემკვიდრეობის წინააღმდეგ მოქმედი პირისათვის თავის არიდებას, შესაძლებელია, ძალიან მძიმე გავლენა ჰქონდეს ოფიციალურ პირებისა და მათი ოჯახებზე. საზოგადოებამ შეიძლება, უბრალოდ გარიყოს ადამიანები, რომლებმაც მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების განადგურებას შეუწყვეს ხელი და აგრძნობინოს მათ მიღებული გადაწყვეტილების სიმძიმე. განსაკუთრებულად ეფექტური იქნება ასეთი მიდგომა კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტებთან მიმართებით, რომლებიც პოლიტიკური წნეხის ან პირადი მიკერძოების გამო იღებენ მემკვიდრეობისათვის საზიანო გადაწყვეტილებებს. ამგვარი გარიყვის მაგალითები პრევენციული ზომა იქნება სხვა საჯარო მოხელეებისთვისაც.

ჩარევა (ინტერვენცია)

ჩარევა გულისხმობს რადიკალური ნაბიჯების გადადგმას, რომელიც მყისიერ რეაქციას გამოიწვევს ოპონენტისაგან. მაგალითად, ძეგლის პიკეტირება, სადაც შეუძლებელი იქნება სამუშაოების წარმოება და სახელმწიფო ან დაინტერესებული პირი იძულებული გახდება გამოიყენოს ძალადობა ან წავიდეს დათმობაზე. ჩარევის ეფექტურობა ეჭვგარეშეა, თუმცა კარგად უნდა გვესმოდეს, რომ მემკვიდრეობის ინტერესები ჯერჯერობით ვერ ახერხებს იმ მასშტაბებით აქტივისტების მობილიზებას, რაც ასეთი კამპანიის ეფექტურ განხორციელებას გახდიდა შესაძლებელს. ამისდა მიუხედავად, ჩარევა რჩება იმ მექანიზმად, რომელიც სასარგებლოა სწრაფი პროცესის დროს და შესაძლებლობას მისცემს ჯგუფს შეაყოვნოს ოპონენტის მოქმედებები.

პრაქტიკული რჩევები[5]

პრობლემის შერჩევა

მას შემდეგ, რაც არსებობს გეგმა, მნიშვნელოვანია სწორად შერჩევა იმ საკითხისა, რომლითაც საზოგადოება გაიცნობს კამპანიას. პრობლემის გასაგებად ფორმულირება ნებისმიერი კამპანიის წარმატებით დაგეგმვისა და ჩატარების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. მემკვიდრეობის სფეროში ბევრი პრობლემაა და შეიძლება რამდენიმეც კი შეირჩეს საწყისი ეტაპისათვის. სხვადასხვა ჯგუფის აქტიურობის შედეგად საზოგადოებას უკვე ესმის მემკვიდრეობის პრობლემა, ამიტომ დამწყებ ჯგუფებს გაუადვილდებათ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

პრობლემის ფორმულირება

პრობლემის ფორმულირების მრავალი გზა არსებობს. კოორდინაციის პრინციპი შეიძლება აქ მთავარ პრინციპად ავიღოთ და პრობლემის ფორმულირება იმგვარადაც მოვახდინოთ, რომ მრავალი სხვადასხვა ჯგუფის ინტერესი იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, მემკვიდრეობის დაცვის პრინციპების უგულებელყოფით განხორციელებულმა ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციამ ძეგლისათვის შექმნა საერთაშორისო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამორიცხვის რისკი, შეამცირა მისი კულტურული ღირებულება და ადგილობრივი ტურიზმისათვის მძიმე დანაკარგად იქცა. ასეთი ფორმულირებით თქვენ აფხიზლებთ მემკვიდრეობის დამცველებსაც, ტურიზმით დაინტერესებულ საზოგადოებასაც, ადგილობრივ თემსაც და ზრდით კამპანიის წარმატების შესაძლებლობას.

სტრატეგიის შემუშავება

კამპანიის სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანია „სტრატეგიისა" და „ტაქტიკის" ერთმანეთისგან გამიჯვნა. „ტაქტიკა" კამპანიაში გამოყენებულ კონკრეტულ ქმედებებს ნიშნავს: პეტიციების გავრცელებას, წერილების წერას, საპროტესტო აქციის ორგანიზებას. „სტრატეგია" უფრო ფართო ცნებაა. სტრატეგიის დასახვა თქვენი ამჟამინდელი სიტუაციის, დასახული მიზნებისა და მათი მიღწევის გზების ერთობლივად გააზრებას ნიშნავს. ეფექტიანი სტრატეგიის დასახვა ცხრა ძირითადი საკითხის გააზრებას მოიცავს:

5 აღნიშნული თავი ადაპტირებულია წიგნიდან „აქტიური მოქალაქეობის სახელმძღვანელო", რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე:
http://liberty.ge/wp-content/uploads/2012/11/Aqtiuri-Moqalaqeobis-Saxelmzgvanelo.pdf

1. მიზნები: რისი მიღწევა გინდათ?

ნებისმიერი კამპანია მიზნების გააზრებით უნდა დაიწყოს. მნიშვნელოვანია მიზნების ერთმანეთისგან გამოყოფა: რა მოკლევადიან, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს ემსახურება თქვენი კამპანია. მიზნები შინაარსობრივ საკითხებს ეხება (მაგალითად, კანონმდებლობის შეცვლას) თუ პროცესის დაწყებას ან გაძლიერებას (მაგალითად, კამპანიის მონაწილეთა შორის სოლიდარობისა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას)? ეს მიზნები თავიდანვე მკვეთრად უნდა განისაზღვროს, რათა შესაძლებელი გახდეს მათ მისაღწევად კონკრეტული ქმედებების განხორციელება და ამაში ხალხის ჩართვა.

2. აუდიტორია: ვის შეუძლია, მიზნების მიღწევაში დაგეხმაროთ?

რომელი პირებისათვის ან ორგანიზაციებისათვის გინდათ ხმის მიწვდენა? ეს შეიძლება იყვნენ როგორც ზემოთ ხსენებული პოლიტიკოსები (რადგან მათ თქვენი მიზნების განხორციელების ფორმალური უფლება და საშუალება გააჩნიათ), ისე მედიის წარმომადგენლები და ამომრჩევლები (ვინაიდან მათ ფორმალური ძალაუფლების მქონე პირებზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ). ორივე შემთხვევაში საჭიროა კამპანიის ძირითადი აუდიტორიის წინასწარი განსაზღვრა და იმ ფორმების გააზრება, რითაც მათთან დაკავშირებას და მათზე ზეწოლის მოხდენას შეძლებთ.

3. გზავნილი: რა უნდა გაიგონოს აუდიტორიამ?

ამ განსხვავებულ აუდიტორიებთან ურთიერთობა მკაფიო და დამაჯერებელი გზავნილების, ანუ „მესიჯების“ შედგენას მოითხოვს. ეს გზავნილები ყოველთვის მართალ და რეალურ მოვლენებზე იქნება დაფუძნებული; მაგრამ მათი მიწოდების ფორმა შეიცვლება კონკრეტული აუდიტორიიდან გამომდინარე. უმეტეს შემთხვევებში გზავნილები ორ ძირითად კომპონენტს უნდა შეიცავდეს: მტკიცებას, რომ, რასაც თქვენ მოითხოვთ, სწორი და მართებულია; და აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებას.



4. წარმგზავნელები: ვინ „გაახმოვანებს“ „მესიჯებს“?

ერთსა და იმავე გზავნილს სრულიად განსხვავებული გავლენის მოხდენა შეუძლია იმის გათვალისწინებით, თუ ვინ ახდენს მის „გაჟღერებას“. რიგ შემთხვევაში ეს „ექსპერტებია“, ვის მიმართაც საზოგადოება ფორმალური ნდობით არის განწყობილი. სხვა დროს შესაძლოა „ჩვეულებრივი ხმების“ გამოყენება დაგვჭირდეს - ადამიანების, რომლებიც უშუალოდ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისაუბრებენ. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გავიაზროთ, თუ რის გაკეთება შეგვიძლია იმისთვის, რომ ეს ე.წ. „სპიკერები“ ინფორმირებულები და დაცულები იყვნენ.

5. მიწოდების ფორმები: როგორ მივაწვდინოთ ხმა აუდიტორიას?

გზავნილების, ანუ „მესიჯების“, აუდიტორიისათვის მიწოდების მრავალფეროვანი ფორმები არსებობს. ეს შეიძლება იყოს უფრო სისტემური მეთოდები (მაგ., ლობირება) ან რადიკალური ფორმები (მაგ., პირდაპირი პროტესტი). ის, თუ რომელი ფორმა იქნება ეფექტური, კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკურობაზეა დამოკიდებული. მთავარია, არსებული ფორმები შევაფასოთ და სწორად გამოვიყენოთ. ბევრ შემთხვევაში მათი შეთავსებით გამოყენება შეიძლება წარმატების საწინდარი გახდეს.

6. რესურსები: რა გვაქვს?

ეფექტიანი კამპანია თქვენს ხელთ არსებული რესურსების სრულ გააზრებას მოითხოვს. ეს შეიცავს წარსულში მოპოვებული გამოცდილების გაანალიზებას, კონტაქტების გამოყენებას, ჯგუფის წევრებისა და კამპანიაში ჩართული სხვა პირების შესაძლებლობების გათვალისწინებას, თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციის შეჯამებას. მოკლედ რომ ითქვას, კამპანიას ნულიდან არ იწყებთ; თქვენი საწყისი წერტილი უკვე არსებული რესურსების გამოყენებაა.

7. გარღვევები: რა უნდა განავითაროთ?

რესურსების გააზრების შემდეგ საჭიროა არსებული გარღვევების გაანალიზება. დაუკვირდით, რა გაკლიათ და როგორ შეგიძლიათ დანაკლისის შევსება. იქნებ უფრო მეტი კონტაქტების დამყარება ან მეტი ინფორმაციის მოპოვება გჭირდებათ, ან მეტი ადამიანების მოზიდვა კამპანიაში ჩასართავად?

8. პირველი ნაბიჯები: როგორ დავიწყოთ?

როგორ „დავძრათ” სტრატეგია ეფექტური ფორმით? რა არის ჩვენი პოტენციური მოკლევადიანი მიზნები ან პროექტები, რომლებიც მოიზიდავს ადამიანებს, გამოკვეთს უფრო ფართო სამომავლო სამუშაოს და შემდეგი ნაბიჯის საწინდარს შექმნის?

9. შეფასება: როგორ განვსაზღვროთ, ეფექტიანია თუ არა კამპანია?

სტრატეგია კამპანიის პროცესშივე უნდა დაექვემდებაროს შეფასებას. გაიაზრეთ, აკმაყოფილებს თუ არა პრაქტიკაში განხორციელებული სტრატეგია ზემოთ მოყვანილ პირობებს (მაგ.: გვყავს თუ არა სწორი აუდიტორია; ვახერხებთ თუ არა მათთვის ხმის მიწვდენას და ა.შ.). შესაძლოა, პრაქტიკამ დაგანახოთ, რომ თავდაპირველად დასახული სტრატეგიის გარკვეული ელემენტები ეფექტიანი არ აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ამ ელემენტების უარყოფა და ეფექტიანი ასპექტების გაძლიერება.

ტაქტიკის არჩევა

ტაქტიკა იმ კონკრეტულ ნაბიჯებს მოიცავს, რომლებიც მთლიანი გეგმისა და სტრატეგიის განხორციელებას ემსახურება. ტაქტიკის მეშვეობით თქვენ უშუალოდ ახდენთ გავლენას თქვენს სამიზნე აუდიტორიაზე და გადაწყვეტილების მიმღებებზე.

კამპანიის დაგეგმვისას ტაქტიკა ბოლო სტადიაზე უნდა შემუშავდეს, რათა თავიდან აიცილოთ ხშირად დაშვებული შეცდომა - საკითხის დაკონკრეტებისთანავე ტაქტიკის არჩევაზე გადასვლა. ტაქტიკა ფართო სტრატეგიისგან განცალკევებით არასოდეს უნდა გაიაზროთ.

ნებისმიერ ტაქტიკას უნდა გააჩნდეს:

- შემსრულებელი;
- სამიზნე აუდიტორია და კონკრეტული „გადაწყვეტილების მიმღები“;
- მიზეზი, რატომაც „გადაწყვეტილების მიმღებს“ არ აძლევს ხელს ეს კამპანია და მზად არის, მის შესაწყვეტად დათმობაზე წამოვიდეს.

სხვადასხვა ტაქტიკას განსხვავებული ორგანიზაციული სიმძლავრე და გამოცდილება სჭირდება. ამიტომ გარკვეული ტაქტიკა კამპანიის დასაწყისშია ეფექტიანი, სხვა კი – მოგვიანებით, როდესაც კამპანიას უკვე გარკვეული ძალა გააჩნია. ტაქტიკის არჩევა და ურთიერთშეფარდება კონკრეტული კამპანიის სპეციფიკური მოთხოვნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან, არჩეული ტაქტიკა უნდა მოსწონდეთ კამპანიის ორგანიზატორებს და მონაწილეებს. ის მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი არ უნდა იყოს და მთლიანი სტრატეგიის ორგანულ და გააზრებულ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. კამპანიის ორგანიზატორების მიერ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ჩადენილი შეცდომა მხოლოდ ტაქტიკაზე კონცენტრირებაა მთლიანი სტრატეგიის გააზრების ნაცვლად.



სასურველია, თქვენ მიერ არჩეული ტაქტიკა ხუთ ძირითად პირობას აკმაყოფილებდეს:

1. უნდა იყოს კამპანიის მიზნებზე, უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებსა და თქვენს აუდიტორიაზე მიმართული. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტაქტიკის განსაზღვრისას.

2. უნდა ჰქონდეს კონკრეტული მოთხოვნა და ამ მოთხოვნის მიღმა რეალური

ძალის დემონსტრირებას უნდა ახდენდეს. ყველაზე სუსტი ტაქტიკა ის არის, რომელსაც არც უშუალო სამიზნე (გადაწყვეტილების მიმღები) გააჩნია და არც კონკრეტული მოთხოვნა. მაგალითად, საპროტესტო მსვლელობა, ზოგადად, მემკვიდრეობის დაცვის პრინციპების მხარდასაჭერად, რომელიც კონკრეტულად არავისგან მოითხოვს რაიმე ქმედების განხორციელებას (ასეთი ზოგადი მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტიანი, თუ თქვენ ათეულობით ათასი ადამიანის მოზიდვას შეძლებთ. ამან შესაძლოა, რომელიმე პოლიტიკოსს უბიძგოს, საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად კონკრეტული ნაბიჯები გადადგას).

3. უნდა იყოს როგორც თქვენი ორგანიზაციის მიზნების, ისე უშუალოდ კამპანიის მიზნების შესატყვისი. სხვა სიტყვებით, ტაქტიკა უნდა დაგეხმაროთ როგორც ორგანიზაციის გაძლიერებაში, ისე კონკრეტული კამპანიის წარმატებით ჩატარებაში. მაგალითად, როგორც ცნობილია, „ბოსტონური ჩაის სმის“ აქციამ მოახდინა გადასახადების პრობლემის აქცენტირება, მაგრამ ორგანიზაციის შექმნაში არანაირი როლი არ შეუსრულებია. მიუხედავად ამისა, კამპანია ისტორიის ნაწილი გახდა მასშტაბური ფორმის გამო. ამიტომ, თუ ასეთ მასშტაბურ აქციას არ აკეთებთ, ჯობს მეტად იყოთ კონცენტრირებული ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარებაზე.

4. ტაქტიკა უცნობი უნდა იყოს თქვენი კამპანიის სამიზნე „გადაწყვეტილების მიმღებისათვის“. ოპონენტმა არ უნდა იცოდეს თქვენი გეგმები.

5. ტაქტიკა არ უნდა იყოს უცხო თქვენი ჯგუფის წევრებისათვის. ისინი ტაქტიკის განხორციელების პროცესში თავს კომფორტულად უნდა გრძნობდნენ. ერთმა სამოქალაქო ორგანიზაციამ რამდენიმე ასეული წევრი მოიყვანა შეხვედრაზე ეკლესიაში, საიდანაც ისინი ერთ-ერთი ოფიციალური პირის ოფისისკენ უნდა დაძრულიყვნენ. მაგრამ ოფისისკენ ერთობლივი სვლის იდეა წევრებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს მათში „საპროტესტო აქციის” ასოციაციას იწვევდა. მათ ეკლესიის დატოვებაზე უარი განაცხადეს. შეხვედრის ორგანიზატორებს უკეთ რომ სცოდნოდათ წევრთა შეხედულებები, შესაძლოა, მათ ოფისისკენ ერთობლივი სვლის მოთხოვნის ნაცვლად ის ოფიციალური პირი მოეყვანათ ეკლესიაში წევრებთან შესახვედრად.

ტაქტიკის ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმებია: პეტიციები, წერილების წერის კამპანია, ოფიციალურ პირთან შეხვედრა, სატელეფონო კამპანია, მედიის გამოყენება, საგანმანათლებლო აქციები, დემონსტრაციების მოწყობა და შემოქმედებითი აქციები.

საკითხზე მუშაობის შესაძლო გავლენები ორგანიზაციაზე

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ, თქვენ მიერ არჩეულ საკითხზე მუშაობის პარალელურად ორგანიზაციაზე ზრუნვაა. დაფიქრდით, რა გავლენას მოახდენს კონკრეტულ საკითხზე მუშაობა თქვენს ორგანიზაციაზე ან რას მოუტანს ორგანიზაციას ამა თუ იმ საკითხის იგნორირება. ნუ იფიქრებთ მხოლოდ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

ლიდერების ორგანიზაციული აზროვნების შესაძლებლობა

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დემორკატიულია ჯგუფი და რამდენად რთავს აქტივისტებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ლიდერების პიროვნული თვისებები უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმატებისათვის. ჯგუფის ლიდერზეა დამოკიდებული, რამდენად დინამიკური იქნება ჯგუფის კამპანია, რამდენად იქნება შესაძლებელი იმ ყველა პირობის შესრულება, რომელიც ჩამოვთვალეთ. აქტიური ადამაინების შემოკრება ბევრს შეუძლია, წარმატების მიღწევა - ცოტას. ვინაიდან ლიდერზე ბევრია დამოკიდებული, აუცილებელია ორგანიზაციამ ისეთი წესები და პრინციპები დაამკვიდროს, რაც ლიდერის ფუნქციებს რამდენიმე ადამიანზე გადაანაწილებს და შეცდომების დაშვების რისკს შეამცირებს. მაგალითად, საჯარო ღონისძიებებზე პოზიციას აფიქსირებდეს რამდენიმე ადამიანი და ა.შ.

როგორ გავიგოთ წარმატებული იყო თუ არა კონკრეტული ნაბიჯი?

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კრიტერიუმი, რომლის გადამოწმებაც დაგეხმარებათ, უკეთ აღიქვათ, რამდენად წარმატებული კამპანია გაქვთ წამოწყებული:

1. საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიაწოდეთ მემკვიდრეობის დაცვის პრინციპებზე;
2. კონკრეტული ძეგლის დაცვის ღონისძიებამ შედეგი გამოიღო, შეცვალა რესტავრაციის/კონსერვაციის გეგმა და მოვიდა მემკვიდრეობის დაცვის პრინციპებთან თანხვედრაში;
3. სამოქალაქო მობილიზაციის კარგი გამოცდილება შეიქმნა;
4. კამპანიის მონაწილეები ენთუზიაზმით არიან განწყობილი და სურთ აქტიურად გააგრძელონ საქმიანობა;
5. ორგანიზაცია ძლიერდება, იკრებს მხარდამჭერებს;
6. ადვილად გასაგებია და ადვილად აღიქვა მედიამ და ფართო

საზოგადოებამ;

7. ჰყავდა კონკრეტული სამიზნე, ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე;
8. დროში კარგად უნდა იყოს განაწილებული. კამპანიები ერთ დღეში არ იწყება და მთავრდება. მას სჭირდება გათვლა და ხშირად უმნიშვნელო საკითხზე კამათიც კი რამდენიმე კვირა გრძელდება. კამპანიის ორგანიზატორს დროის ფაქტორი გათვლილი უნდა ჰქონდეს და თუ კამპანიის დასრულებისას გუნდი გადაღლილი არ არის. ე.ი. დრო სწორად იყო დათვლილი, კამპანიაც წარმატებით მიმდინარეობდა;
9. არ უნდა იწვევდეს თქვენი ჯგუფის დაყოფას;
10. უნდა პასუხობდეს ჯგუფში არსებული რესურსებისა და ლიდერების გამოყენების შესაძლებლობას. კამპანიამ ჯგუფის წევრებს მრავალფეროვანი და კონკრეტული როლები უნდა შესთავაზოს;
11. უნდა შეიცავდეს სამომავლო კამპანიების შესაძლებლობას;
12. უნდა შეეძლოს დაფინანსების მოზიდვა. მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაც, რამდენად შეძლებენ და მოისურვებენ ჯგუფის წევრები კამპანიის დაფინანსებაში წვლილის შეტანას. აგრეთვე ეცადეთ, თვალი ადევნოთ ფონდების გამოცხადებულ კონკურსებსა და პრიორიტეტებს.

წესრიგის დამრღვევი სამოქალაქო აქტივიზმი

სახელმწიფოს არსენალში ურიცხვი კანონია, რომელსაც ხშირად იყენებენ სამოქალაქო აქტივისტების შესავიწროვებლად. როგორც წესი, სახელმწიფო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლებით ცდილობს, ხელი შეუშალოს აქტივისტებს: გამოაკრან საინფორმაციო პლაკატი, მოხატონ ქუჩა, გადაკეტონ მოძრაობა, შეაჩერონ „ცუდი“ კანონების მოქმედება და ა.შ. სახელმწიფო ხშირად იყენებს დაუმორჩილებლობისა და ვანდალიზმის მუხლებს აქტივისტების დაჯარიმებისა თუ მოკლევადიანი პატიმრობის მიზნით. ამგვარი ზომები დროებით აფერხებს ჯგუფებს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, პირიქით, ენერგიას მატებს ორგანიზაციას. ამიტომ კამპანიის წამოწყების წინ კარგი იქნება კონსულტაციების გავლა იურისტებთან და მოსალოდნელი სამართლებრივი რისკების შეფასება.

მემკვიდრეობის მართვის სქემა

საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები რეგულირდება შემდეგი ძირითადი საკანონმდებლო აქტებით:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- კონსტიტუციური შეთანხმება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“;
- „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება №05/11.

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას... საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“.

ამასთანავე, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას.

საკანონმდებლო აქტებს შორის ურთერთმიმართება და იერარქია შემდეგნაირად განისაზღვრება:

1. კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი;
2. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
3. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
4. საქართველოს ორგანული კანონი;
5. საქართველოს კანონი.

კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური დებულებები სახელმწიფოს ავალდებულებს, კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად მიიღოს სპეციალური კანონი. სწორედ ამ ვალდებულის შესასრულებლად მიღებულ იქნა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც წარმოადგენს ე.წ. ჩარჩო კანონს და მისი მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო აქტით განისაზღვრება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა, არქეოლოგიური სამუშაოების სახეები და პირობები, კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა, კლასიფიკაცია, მისთვის სტატუსის მინიჭება და მოხსნა, ძეგლის დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე საკუთრების უფლების საკითხები, კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები და მათი რეჟიმები და სხვ.

გარდა ამისა, კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს არეგულირებს სხვა, მომიჯნავე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ეხება მუზეუმებში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის წესებს, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესებს, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესსა და სანებართვო პირობებს, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირებას და სხვ.

ადვოკატირება ადმინისტრაციულ ორგანოებთან

ადმინისტრაციულ ორგანოებთან ეფექტური ადვოკატირების წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რომელი სახელმწიფო ან/და თვითმმართველობის ორგანო რა საკითხზეა პასუხისმგებელი. კანონმდებლობის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას ახორციელებენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ფორმალურად მიუთითებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში დეცენტრალიზაციის მნიშვნელობაზე, არსებული მდგომარეობით, მთავარი მოქმედი პირები მაინც არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“. ამ უკანასკნელს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისგან დელეგირებული (გადაცემული) აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები.

მართალია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, ასევე კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია შეიცავენ გარკვეულ დებულებებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თაობაზე, სისტემა მაინც მკაცრად ცენტრალიზებულია, რაც ართულებს ადვოკატირების პროცესს, განსაკუთრებით, რეგიონებში მდებარე მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე.

ამ მხრივ, გარკვეული გამონაკლისია სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შესწავლას, მოვლა-პატრონობას, რესტავრაციას, კონსერვაციას, სანებართვო სისტემების დანერგვას და სხვ.



შესაბამისად, ადვოკატირების პროცესის დაწყებამდე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს სწორად იდენტიფიცირება, მისი უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

ადვოკატირება სასამართლოებში

საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლო სისტემა შედგება საერთო სასამართლოებისა (საქალაქო/რაიონული სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო) და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან.

ზოგადად, საერთო სასამართლოები სამართალწარმოებას ახორციელებენ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საერთო სასამართლოებთან ადვოკატირება წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- სახელმწიფოს რეაგირება ადმინისტრაციულ გადაცდომებსა და სისხლის სამართლის დანაშაულებზე;
- სახელმწიფოს რეაგირება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის წესების დარღვევებზე;
- სამოქალაქო/ადმინისტრაციული დავებისას, მხარეების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ეროვნულ სამართალში ინკორპორირება (გადმოტანა).

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს ხელში არსებობს რეპრესიული მექანიზმები, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს მთელ რიგ ქმედებას, რომელიც უკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ადვოკატირება წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს დროული რეაგირება ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებსა და დანაშაულებზე, რათა სასამართლოებს მიეცეთ საშუალება, ჩამოაყალიბონ შესაბამისი პრაქტიკა და სტანდარტები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით.

ზემოაღნიშნული ბერკეტების გარდა, კანონმდებლობა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მესაკუთრის პასუხისმგებლობასაც. კერძოდ, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უფლებამოსილია, გააფრთხილოს ან/და დააჯარიმოს ძეგლის კანონიერი მესაკუთრე ან მოსარგებლე, თუ ეს უკანასკნელი დაარღვევს ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ წესებს.

თუმცა, დასახელებული კანონის მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ 30-ე მუხლით გათვალისწინებული წესები არ ვრცელდება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ და სხვა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ობიექტებზე.”[6]

ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკმაოდ დიდი ნაწილი კონფესიური წარმოშობისაა და რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებას წარმოადგენს ან მათ გამგებლობაში იმყოფება, სახელმწიფო მოკლებულია შესაძლებლობას, გააკონტროლოს და აღმოფხვრას აღნიშნული ძეგლების სარგებლობასთან და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული უკანონო ქმედებები, რაც, თავის მხრივ, სასამართლოებს არ აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები და დაიცვან კანონი.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, სამოქალაქო/ადმინისტრაციული დავების წარმართვისას პრაქტიკოსმა იურისტებმა უფრო მეტი ყურადღება გაამახვილონ საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებზე, რაც გულისხმობს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შიდა კანონმდებლობაში ინტეგრაციასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას სასამართლოების მიერ.

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო ხელშეკრულებებს უპირატესობა ენიჭება მიმდინარე კანონმდებლობასთან (გარდა კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა) მიმართებით.

სწორედ ამიტომ ადვოკატირების პროცესში უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს დასახელებულ საერთაშორისო აქტებზე და მათში მოცემულ რეგულირებებზე, რაც სასამართლოებს საშუალებას მისცემს, გამოასწოროს მიმდინარე კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი ან/და შეავსოს არსებული საკანონმდებლო ვაკუუმი.

6 აღნიშნული მოცემულობის ცვლილება იგეგმება კულტურული მემკვიდრეობის ახალი კოდექსის ფარგლებში, რომელიც ამ დროისთვის დამუშავების პროცესშია (რედ.)

საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით. აღნიშნული გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, არაკონსტიტუციურად ცნოს (გააუქმოს) ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი (გარდა თავად კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონისა), თუ იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციებს შორის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ პირს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, თუ მას მიაჩნია, რომ ნორმატიულმა აქტმა ან მისმა ნაწილმა დაარღვია ან შესაძლებელია, უშუალოდ დაარღვიოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებები და თავისუფლებები.

როგორც უკვე აღინიშნა, კულტურული მემკვიდრეობის საკითხს არეგულირებს კონსტიტუციის 34-ე და 37-ე მუხლები. თუმცა 34-ე მუხლი არ არის ფორმულირებული, როგორც პირის უფლება სარგებლობდეს კულტურული მემკვიდრეობით. კონსტიტუცია სახელმწიფოს და თითოეულ მოქალაქეს ავალდებულებს, იზრუნოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე.

აღნიშნულისგან განსხვავებით, კონსტიტუციის 37-ე მუხლი მიუთითებს, რომ ყველას აქვს უფლება, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. სამწუხაროდ, მოცემულ დებულებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს საკმაოდ მწირი პრაქტიკა აქვს. სასამართლოს არ უმსჯელია, დაცულია თუ არა კულტურული მემკვიდრეობით სარგებლობის უფლება კონსტიტუციით.

თუმცა აღნიშნული ქმნის შესაძლებლობას, დაინტერესებულმა პირებმა საკონსტიტუციო სასამართლო გამოიყენონ როგორც ადვოკატირების მექანიზმი, მით უფრო, რომ სასამართლოს არ ჰქონია შესაძლებლობა, ემსჯელა ამ საკითხებზე და განესაზღვრა კონსტიტუციური სტანდარტები. სასამართლოს გამოყენება მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, არ საჩივრდება, იგი თვითაღსრულებადია და მისი შეცვლა მხოლოდ თავად სასამართლოს შეუძლია.

აქედან გამომდინარე, შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლო განხილულ იქნას, როგორც ადვოკატირების ძალიან ეფექტური მექანიზმი.

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
მის.: სანაპიროს ქ. #4, 0105 თბილისი
ცხელი ხაზი: 1406
ელ-ფოსტა: mc@culture.gov.ge
ვებ-გვერდი: http://www.culture.gov.ge

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მის.: კრწანისის ქ. #58, 0105 თბილისი
ტელ.: +995 32 218 06 90
ელ-ფოსტა: info@heritagesites.ge
ვებ-გვერდი: http://heritagesites.ge/

ICOM საქართველო
მის.: სანაპიროს ქ. #4, 0105 თბილისი
ტელ.: +995 32 299 02 85 ;
+995 577 72 54 50 ; +995 593 16 52 56
ელ-ფოსტა: ingakaraia@gmail.com ;
ვებ-გვერდი: http://www.georgianmuseums.ge ;
https://sites.google.com/site/icomgeorgia/

საერთაშორისო ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
ტელ.: + 995 599 94 14 49
ელ-ფოსტა: info@blueshield.ge
ვებ-გვერდი: http://www.blueshield.ge

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო
მის.: გ. გულუას ქ. #6, 0114 თბილისი
ტელ.: +995 32 275 23 53
ელ-ფოსტა: info@apa.gov.ge
ვებ-გვერდი: http://www.apa.gov.ge/ge/

აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელოვნებისა და კულტურის საბჭო
მის.: უზნაძის ქ. #49/49, თბილისი
ტელ.: +995 577 44 10 88
ელ-ფოსტა: eapacc@eapacc.org.ge; pertenava@gmail.com; marine.mizandari@gmail.com

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი
მის.: ათონელის ქ. #9, 0105 თბილისი
ტელ.: +995 32 293 13 38, +995 32 293 15 38
ელ-ფოსტა: research@gch-centre.ge
ვებ-გვერდი: http://www.gch-centre.ge

საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
მის.: შ. ჩიტაძის ქ. #4, 0118 თბილისი
ტელ.: +995 32 294 50 00 შიდა: 1912
ფაქსი: +995 32 294 50 01
ელ-ფოსტა: unesco@mfa.gov.ge
ვებ-გვერდი: http://www.unesco.ge

ICOMOS საქართველო
მის.: ბეთლემის აღმართი #16; 0105 თბილისი
ტელ.: +995 32 298 45 27
ელ-ფოსტა: info@icomos.org.ge
ვებ-გვერდი: icomos.org.ge

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი IUCN
თბილისის ოფისი
ტელ.: +995 32 259 69 32/33
ფაქსი: +995 32 259 69 31
ელ-ფოსტა: ekaterine.kakabadze@iucn.org
ვებ-გვერდი: http://www.iucn.org/caucasus

ასოციაცია „საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა“
ტელ.: +995 599 62 57 04
ელ-ფოსტა: cichach@yahoo.com

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
მის.: ბაქოს ქ. #20ა, თბილისი
ტელ.: +995 32 294 02 96
ელ. ფოსტა: office@iccc.org.ge
ვებ-გვერდი: www.iccc.org.ge

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
მის.: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი
ტელ.: +995 32 293 13 35
ელ-ფოსტა: gacc@gaccgeorgia.org
ვებ-გვერდი: http://www.gaccgeorgia.org/index.html

„ტფილისის ჰამქარი“
მის.: დიმიტრი ბაქრაძის ქ. #21, 0179 თბილისი
ელ-ფოსტა: tbshamkari@gmail.com
ვებ-გვერდი: http://www.hamkari.ge;
http://www.scribd.com/Hamqari

„ძეგლის მეგობარი“
ელ-ფოსტა: dzeglismegobari@gmail.com
ვებ-გვერდი: http://dzeglismegobari.wordpress.com/
Facebook: ძეგლის მეგობარი

„კულტურული მემკვიდრეობის არასამთვრობო მონიტორინგი“
ელ-ფოსტა: NGOmonitoring@gmail.com;
monitoringi@mail.ua
Facebook: კულტურული-მემკვიდრეობის-არასამთავრობო-მონიტორინგი

მემკვიდრეობა მომავლისთვის
მის.: ბ. ხმელინსკის ქ. #103, 4/4, 0113 თბილისი
ტელ.: +995 551 96 68 57; + 995 551 30 32 68
ელ-ფოსტა: heritageforfuture@yahoo.com
ვებ-გვერდი: https://ichgeorgia.wordpress.com/
Facebook: მემკვიდრეობა მომავლისთვის - Heritage for future

იარე ფეხით
მის.:აბაშიძის ქ. #24ა,
ტელ.: +995 32 223 53 09
ელ-ფოსტა: iarepekhit@gmail.com
ვებ გვერდი: http://www.larePekhit.org

ქართული ისლამური კულტურული მემკვიდრეობა
ელ-ფოსტა: Georgianjame@gmail.com;
https://georgianjame.wordpress.com/

კავკასიის კულტურული პროგრამების საერთაშორისო ბიურო
მის.: ჭავჭავაძის გამზ. #19, თბილისი
ტელ.: +995 595 30 50 07
ელ. ფოსტა: ibccp@caucasusfoundation.ge
ვებ-გვერდი: www.caucasusfoundation.ge

ინიციატივა საჯარო სივრცისთვის
მის.: აკაკი წერეთლის გამზ. #55, თბილისი
ტელ.: +995 577 29 22 01
ელ-ფოსტა: latenvironment@gmail.com
Facebook: Initiative for a public space ინიციატივა საჯარო სივრცისთვის

სამხრეთ კავკასიის გერმანული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი
მის.: ომარ ფხაკაძის ქ. #11 0183 თბილისი
ელ-ფოსტა: deutscherkulturvereingeorgien@gmail.com
ტელ.: +995 32 254 54 77

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, მათ შორის მუშაობენ შემდეგი ორგანიზაციები:

ფოლკლორის ეროვნული ცენტრი
მის.: აღმაშენებლის გამზ. #68, თბილისი
ტელ.: +995 32 2 19 29 29
ელ-ფოსტა: info@folk.gov.ge
ვებ-გვერდი: http://folk.gov.ge/

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი
მის.: ა. გრიბოედოვის ქ. #8/10, 0108 თბილისი
ტელ.: +995 32 299 89 53
ელ-ფოსტა: rusiko.tsurtsumia@gmail.com
ვებ-გვერდი: http://www.polyphony.ge

ღვინის ეროვნული სააგენტო
მის.: მარშალ გელოვანის ქ. #6, 0159 თბილისი
ტელ.: +995 32 297 41 03
ცხელი ხაზი: +995 32 247 01 01
ელ-ფოსტა: info.georgianwine@georgianwine.gov.ge
ვებ-გვერდი: http://www.Georgianwine.gov.ge

საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია
მის.: ნ. ნიკოლაძის ქ. #7, 0108 თბილისი
ტელ: +995 593 663 821 +995 32 293 13 35
ელ-ფოსტა: info@crafts.ge
ვებ-გვერდი: http://www.crafts.ge

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ქართული ხალხური რეწვის მხარდაჭერის პროგრამა
მის.: კუს ტბის ასახვევი #1, თბილისი
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.
ტელ.: +995 32 272 90 46; +995 32 272 90 45; +995 599 36 36 80

თსუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
მის.: უნივერსიტეტის ქ. #2, 0186 თბილისი
ტელ.: +995 32 299 06 82
ელ-ფოსტა: histend55@yahoo.com
ვებ-გვერდი: http://www.institutehist.ucoz.net

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია
მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. #49ა, 0652 თბილისი
ტელ.: +995 32 2 29 38 95; +995 599 20 56 53
ელ-ფოსტა: geo@united-world-wrestling.org
ვებ-გვერდი: http://www.wrestling.ge

საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
მის.: შალვა დადიანის ქ. #28, თბილისი
ტელ.: -995 32 299 61 52

ფესტივალი არტ-გენი
მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. #76
ტელ.: +995 32 291 70 78
ვებ-გვერდი: http://www.artgeni.ge

რეგიონებში მოქმედი ორგანიზაციები:

(ა).იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი"
მის.: სეტის მოედანი #1, დაბა მესტია
ტელ.: +995 593 52 25 33
ელ-ფოსტა: m.k.m.centri@gmail.com

სამოქალაქო ინიციატივა
მის.: რუსთაველის ქ. #41, წნორი
ტელ.: +995 555 46 77 21
ელ-ფოსტა: civicinit@gmail.com
ვებ-გვერდი: https://civicinit.wordpress.com/

საზოგადოება „ბათომი"
მის.: ალ. ჩხაიძის ქ. #8, ბინა 21, ბათუმი
ელ-ფოსტა: info.batomi@gmail.com
ტელ: -995 593 96 59 64; +995 577 41 85 25

ველური ბუნების დაცვის საზოგადოება „ჭაობი",
ხელმძღვანელი იზოლდა მაჭუტაძე
მის: ხელვაჩაური, სოფ. ორთაბათუმი
ტელ: +995 577 90 91 31
ელ-ფოსტა: izo.muho@gmx.net

საერთაშორისო ორგანიზაციები:

ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში (Council of Europe)
მის.: ჭავჭავაძის გამზ. #34; პიქსელის ბიზნეს ცენტრი, მე-8 სართული. 0179 თბილისი
ტელ.: +995 32 291 38 70/71/72
ელ-ფოსტა: informtbilisi@coe.int
ვებ-გვერდი: http://www.coe.int

SAVE Britain's Heritage
გადავარჩინოთ ბრიტანეთის მემკვიდრეობა
მის.: 70 Cowcross Street, London, EC1M 6EJ
ტელ.: 020 7253 3500
ელ-ფოსტა: office@savebritainsheritage.org
ვებ-გვერდი: http://www.savebritainsheritage.org

ევროპის საბჭოს კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის მუდმივმოქმედი კომიტეტი
ტელ.: +33 388 41 35 59; +33 388 41 31 54
ელ-ფოსტა: Gianluca.Silvestrini@coe.int ; Alison.Helm@coe.int
ვებ-გვერდი: http://www.coe.int/t/dg4/cultureheritage/about/governance/CDCULT_en.asp

საერთაშორისო ICOMOS
მის.: 45-51, rue de la Fédération, 75015 Paris
ტელ.: +33 145 676 770
ელ-ფოსტა: secretariat@icimos.org
ვებ-გვერდი: www.icomos.org

English Heritage
ბრიტანეთის მემკვიდრეობა
მის.: 1 Waterhouse Square; 138 - 142 Holborn; London EC1N 2ST
ტელ.: 020 7973 3000
ელ-ფოსტა: customers@english-heritage.org.uk
ვებ-გვერდი: http://www.english-heritage.org.uk/

Getty Conservation Institute
გეტის კონსერვაციის ინსტიტუტი
მის.: 1200 Getty Center Drive, Suite 700
Los Angeles, CA 9004-1684
ტელ.: (310) 4407325
ელ-ფოსტა: gciweb@getty.edu
ვებ-გვერდი: https://www.getty.edu/

ICCROM
მის.: Via di San Michele 13, I-00153 Rome, Italy
ტელ.: +39 06.585-531
ვებ-გვერდი: http://www.iccrom.org/

საერთაშორისო ICOM
მის.: Maison de l'UNESCO ; 1 rue Miollis ; 75732 Paris Cedex 15, France
ტელ.: +33 (0) 1 47 34 05 00
ფაქსი: +33 (0) 1 43 06 78 62

International Committee of the Blue Shield (ICBS)
ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტი
ვებ-გვერდი: http://www.ancbs.org/cms/index.php/en/ ; http://www.ancbs.org

ევროკომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატი (DG EAC)
ვებ-გვერდი: http://ec.europa.eu/dgs/education_culture/index_en.htm

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი (UNESCO World Heritage Centre)
ელ-ფოსტა: wh-info@unesco.org
ვებ-გვერდი: www.whc.unesco.org

შემოკლებები

ICCROM (იკრომი) - კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრი
UNESCO (იუნესკო) - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
ICOMOS (იკომოსი) - ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭო
ICOM (იკომი) - მუზეუმების საერთაშორისო საბჭო

ქართულენოვანი პუბლიკაციები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში:

1. თ. ამაშუკელი, ც. ელისაშვილი, ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო პრობლემები და სამართალდარღვევები, თბ., 2013
2. რ. გვერდწითელი: „წმინდა მარიამის" ეკლესია თბილისში, ანჩისხატი. თბ., 2001
3. ი. ელიზბარაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, მ. სურამელაშვილი, ხ. ჭურღულია: არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში, თბ., 2012 http://blueshield.ge/wp-content/uploads/2016/12/arqiteqturis-restavracia.pdf
4. თბილისი, კალა ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია, ICOMOS საქართველო - პროგრამის ანგარიში 2000-2001 თბ., 2011
5. საზოგადოება და ისტორიული გარემო; კონფერენციის მასალები, თბ., 2012, ICOMOS საქართველო
6. ს. სალაძე, რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა - ბათუმის რეაბილიტაცია, თბ., 2013, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

7. ურბანული მემკვიდრეობის დაცვა: ძველი თბილისის იდენტობა და სული; კონფერენციის მასალები, 2010 წლის 3-6 ივნისი, თბილისი
8. ქალაქის სათუთი განახლება და ძველი თბილისის რეაბილიტაცია 2009 წლის 9 ივნისს საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში ჩატარებული სიმპოზიუმი - „ისტორიული ქალაქის სათუთი განახლება და სამოქალაქო საზოგადოება'. მოხსენებები და საგამოფენო მასალა, თბილისი, 2010, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი
9. რ. გვერდწითელი, არქიტექტურის ძეგლების რესტავრაცია, თბ., 1991
10. გზა მომავლისკენ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა; ICOMOS საქართველო, თბილისი 2014
http://rcchd.icomos.org.ge/?l=G&m=4-5
11. ხითხუროობის ტრადიციული ხერხები და სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაციის პრაქტიკა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2015 წ. თბილისი
12. სიღნაღი კულტურისათვის - მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები და კულტურის პოლიტიკის რეკომენდაციები, 2014 თბილისი
http://culturepolicy.gov.ge/getfile/8254bf9b-6606-49d2-9279-b5a61879e576/.aspx
13. ინიციატივა ცვლილებისათვის, 2 წიგნად. სათემო განვითარების ცენტრი, თბილისი 2015-2016
14. ზაზანაშვილი, ნ. კალანდარიშვილი, ლ. საქართველოს ინდუსტრიული მემკვიდრეობა, თბილისი, 2015

ნათარგმნი ლიტერატურა:

1. კულტურული მემკვიდრეობა და მედეგობა - კატასტროფის რისკების შემცირების შესაძლებლობები და მასთან დაკავშირებული საკითხები . ჟენევა შვეიცარია, 2013
http://blueshield.ge/wp-content/uploads/2016/11/Heritage-and-Resilience-Book-for-GP2013-Disaster-Management.geo_.compressed.pdf
2. ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ. ფარო, 2005
http://blueshield.ge/wp-content/uploads/2016/09/convention.pdf
3. SAVE-ის სამოქალაქო აქტივიზმის სახელმძღვანელო - მარკუს ბინი, მერიენ უოთსონ სმითი, თბილისი 2016
http://blueshield.ge/wp-content/uploads/2016/09/save.pdf
4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა ICOMOS, საქართველო, 2014, თბილისი
http://blueshield.ge/wp-content/uploads/2015/12/saxelm_Layout.pdf
5. იოკილეტო, იუკა, არქიტექტურის კონსერვაციის ისტორია, 2009, თბილისი
http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2012/05/conservation-history-jukka.pdf
6. კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო; ურბანული რეაბილიტაციის სახლემძღვანელო; მემკვიდრეობის შეფასების სახელმძღვანელო, თბილისი, 2008
http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/urbanuli-1.pdf
7. ხუროთმოძღვრების კონსერვაცია: პრინციპები, მოსაზრებები, თბილისი 2007
http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/konservacia-book.pdf

8. ბერნარ მ. ფილდენი, იუკა იოკილეტო: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2005
http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/martva-book.pdf
9. სტოველი, ჰერბ: რისკითვის მზადყოფნა – მსოფლიო კულუტურული მემკვიდ-რეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო, თბილისი, 2007
http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2011/09/riski-book.pdf
10. ანნა-სოფია ჰიგენი: კულტურული მემკვიდრეობის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები და წესები
http://ancientgeorgia.files.wordpress.com/2012/02/martvis-saxelmdzgvanelo-principebi.pdf

ტერმინთა განმარტება:

ფასეულობები და მნიშვნელოვნება
ძეგლის და მისი მიმდებარე გარემოს ესთეტიკური, ისტორიული, მეცნიერული ან სოციალური მნიშვნელობა და სხვა განსაკუთრებული ასპექტები. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტისა თუ ძეგლის მნიშვნელობა ადგილობრივი თემის იდენტობისა და კულტურული მრავალფეროვნების ფორმირებაში.

კონსერვაცია (მემკვიდრეობის დაცვის პროცესი)
ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც გამიზნულია კულტურული და ბუნებრივი მემკვი-დრეობის დაზიანების ტემპის შესაჩერებლად. კონსერვაციის მიზანია, აგრეთვე, მემკვი-დრეობის ძეგლის ისტორიისა თუ მნიშვნელობის მიწოდება საზოგადოებისათვის.

მოვლა-პატრონობა
ძეგლის ქსოვილის (ქსოვილი - ძეგლის ან ადგილის სრული ფიზიკური შემადგენლობა და მისი ყველა კომპონენტი) შემადგენლობისა და გარემოს უვნებელი, გრძელვადიანი, სისტემატიური მოვლის პროცესი მისი დაცვის მიზნით. მასში იგულისხმება მტვრის გადაწმენდა, სახურავის გადათოვლა, გაწმენდა, სხვა.

შენარჩუნება
ძეგლის ქსოვილის შენარჩუნება არსებულ მდგომარეობაში.

რესტავრაცია
ძეგლის არსებული ქსოვილის აღდგენა თავდაპირველი სახით დანამატების მოშორებისა ან არსებული ნაწილების შეერთების გზით. რესტავრაციის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მისი ფიზიკური დაცვა, არამედ მისი თავდაპირველი მხატვრული გადაწყვეტის უკეთ წარმოჩენა. ის ემყარება ფიზიკურ და დოკუმენტურ ინფორმაციას და წყდება იქ, სადაც იწყება ვარაუდი.

რეკონსტრუქცია
რეკონსტრუქცია ნიშნავს ხელახლა აშენებას. გამოიყენება იმ სამუშაოების აღსანიშნავად, რომელიც გულისხმობს თანამედროვე და ძველი მასალის ცალკე ან ერთად გამოყენებას დანგრეული ნაწილების ახლად აშენების მიზნით. რეკონსტრუქცია ისევე, როგორც რესტავრაცია, დაფუძნებული უნდა იყოს ზუსტ არქიტექტურულ და არქეოლოგიურ დოკუმენტაციასა და ფაქტებზე და არა ვარაუდზე.

ადაპტაცია
ადაპტაცია ნიშნავს ძეგლში ცვლილებების შეტანას მისთვის ახალი ფუნქციის მოსარგებად. ადაპტაცია მისაღებია მაშინ, როდესაც სხვანაირად ვერ მიიღწევა ძეგლის კონსერვაცია. ადაპტაციის დროს არ უნდა შეიბღალოს ძეგლის კულტურული ღირებულება.

ძეგლის მენეჯმენტი (მართვა)
ძეგლის მენეჯმენტი არის ძეგლისა და მისი ღირებულებების დაცვისათვის საჭირო ზომების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი.

ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობა
ძეგლის ფიზიკური მდგომარეობისა და მისი კონსერვაციისათვის საჭირო სათანადო მექანიზმების არსებობა.

ავთენტურობა
ავთენტურობა (ნამდვილობა) - კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის შეფასება ხდება იმ წყაროების სანდოობის მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს ამ მემკვიდრეობის ფასეულობას.
ბუნებიდან გამომდინარე, ნამდვილობა ანუ ავთენტურობა დაკავშირებულია სანდო წყაროებთან. წყარო შეიძლება ეხებოდეს ფორმას და მის გადაწყვეტას, მასალას და მის შემადგენლობას, გამოყენებასა და ფუნქციას, ტრადიციასა და ტექნიკას, მდებარეობასა და გარემოს, სულისკვეთებასა და არსს, ისევე როგორც სხვა ასპექტებს. ამ წყაროთა გამოყენება იძლევა შესაძლებლობას, წარმოჩნდეს კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური მხატვრული, ისტორიული, სოციალური და სამეცნიერო განზომილება.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ცოდნა ან/და უნარ-ჩვევები, რომლისთვისაც ეს ტრადიცია მისი ყოფისა და კულტურული იდენტობის განუყოფელი ნაწილია; გამორჩეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მატარებლებს ხშირად „ცოცხალ საუნჯედ“ მოიხსენიებენ და როგორც ტრადიციის საუკეთესო შემნახველთ, განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებენ.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სივრცე
გეოგრაფიული არეალი, რომელიც დაკავშირებულია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან და წარმოადგენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არსებობისათვის აუცილებელ გარემოს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ერთეული ნიმუში;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი, რომელსაც დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის/ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი.

როგორ ვებრძოლოთ განაშენიანების ახალ პროექტს გამკლავების გეგმა

SAVE-ის „გადავარჩინოთ ბრიტანეთის მემკვიდრეობის“ მოქმედებათა სქემა / WWW.SAVEBRITAINSHERITAGE.ORG

ვიდრე შეიტანენ განაცხადს

- მიიღეთ გადაწყვეტილება შენობის/ძეგლის გადარჩენის შესახებ;
- შექმენით საინიციატივო ჯგუფი;
- გამოიკვლიეთ შენობა;
- მოიძიეთ შენობის კარგი ფოტოები;
- მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ თქვენი სათქმელი;
- დაუკავშირდით მემკვიდრეობის დამცველ ორგანიზაციებს, როგორიცაა: SAVE-ი ან ფონდებს;
- დაუკავშირდით ადგილობრივი დაგეგმარების ან კონსერვაციის სპეციალისტს;
- გამოიყენეთ სოციალური მედია;
- გაგზავნეთ პრესრელიზი;
- შექმენით პეტიცია;
- ჩაატარეთ ღონისძიება და/ან შექმენით საბრძოლო ფონდი;
- მონაწილეობა მიიღეთ ყველა საკონსულტაციო შეხვედრაში ან გამოფენაში, რომელიც განხორციელდება განაცხადის შეტანამდე.

განაცხადის დამუშავების პროცესში

- გაეცანით პროექტის დოკუმენტაციას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ პროექტს, შენობის ხელმისაწვდომობასა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- არ მოდუნდეთ!
- დაწერეთ საჩივრის წერილები და სხვებსაც მოუწოდეთ, იგივე გააკეთონ;
- განაგრძეთ ღონისძიებების ორგანიზება და პრესასთან კომუნიკაცია;
- მოიფიქრეთ ადგილის განვითარების თქვენეული გეგმა, ითანამშრომლეთ არქიტექტორებთან და დიზაინერებთან. თუ ეს მიტოვებული შენობაა, შექმენით მისი კომპიუტერულად დამუშავებული ფოტოგამოსახულება, რომელშიც უფრო სუფთა და მოწესრიგებული სახე ექნება. ეს დაეხმარება ხალხს, სხვაგვარად შეხედონ შენობას;
- ორგანიზაციაში Historic England ან სხვა ადგილობრივ უწყებაში შეიტანეთ განაცხადი შენობის ძეგლთა ნუსხაში შესატანად;
- შეიტანეთ განაცხადი ადგილობრივ უწყებაში იმ მიზნით, რომ შენობას მიენიჭოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტის სტატუსი ან მოხვდეს კონსერვაციის არეალის ფარგლებში;
- დაგეგმარების კომიტეტის შეხვედრაზე დარეგისტრირდით ერთ-ერთ სპიკერად;
- შეაქეთ საკუთარი თავი, ამდენი რამის გაკეთება რომ შეძელით.

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიღებულია

თუ პროექტი არ მიიღეს,

- მოაწყვეთ წვეულება და იზეიმეთ. გაგზავნეთ პრესრელიზი
- ნაბახუსევს, მოემზადეთ მშენებლის აპელაციისათვის დაგეგმარების უწყების საბჭოზე,
- მჭიდრო კომუნიკაცია შეინარჩუნეთ დაგეგმარების ოფისის წარმომადგენელთან. თქვენ ერთსა და იმავე მხარეს ხართ.
- დარეგისტრირდით სააპელაციო სხდომაზე სასაუბროდ. წარადგინე მტკიცებულება. მოუწოდე სხვებსაც, გააკეთონ იგივე,
- არ დაკარგოთ იმედი, პირველი რაუნდი მოგებული გაქვთ.
- განაგრძეთ ალტერნატიულ გეგმაზე მუშაობა და მხარდამჭერთა მოზიდვა,
- ყურადღებით იყავით, მშენებელი ოდნავ სახეცვლილ, მაგრამ თითქმის იმავე ტიპის პროექტს წარადგენს,
- მოიგეთ აპელაცია,
- წააგეთ აპელაცია,
- მოაწყვეთ დიდი წვეულება და მოემზადეთ, უზრუნველყოთ შენობის მომავალი

თუ პროექტი დაამტკიცეს,

- დალიეთ რაიმე ძლიერი და მიმართეთ იურისტს დახმარებისთვის,
- გადაამოწმეთ, ექვემდებარება თუ არა ეს საქმე საჯარო განხილვას.

თუ კი

- წერილობით მიმართეთ სახელმწიფო მდივანს
- საჯარო განხილვისათვის შემოიკრიბეთ მხარდამჭერები. მოუწოდეთ მხარდამჭერებს, წერილობით მიმართონ სახელმწიფო მდივანს და პარლამენტის იმ წევრებს, როლებსაც კონსერვაციაზე გული შესტკივათ. დაწერეთ ახალი პეტიცია და დაუკავშირდით პრესას
- საკითხი გავა საჯარო განხილვაზე
- საკითხი არ გავა საჯარო განხილვაზე
- შექმენით გუნდი და იბრძოლეთ საჯარო განხილვაზე
- მოიგეთ წააგეთ

თუ არა

- შესაძლებელია საქმის სასამართლოში განხილვა
- მოიძიეთ თანხები სასამართლო ხარჯებისათვის. გაარკვიეთ, თუ გეკუთვნით უფასო იურიდიული დახმარება ან თუ არის შესაძლებელი ხარჯების შემცირება Aarhus-ის კონვენციის მეშვეობით
- განაცხადეთ სასამართლო განხილვის ნებართვის მოსაპოვებლად
- უარი სასამართლო განხილვაზე
- დასტური სასამართლო განხილვაზე
- წადით სასამართლოში
- მოიგეთ წააგეთ
- გაასაჩივრეთ
- მოიგეთ
- წააგეთ
- იტირეთ. მერე ისევ შეიკრიბეთ და გადახედეთ სხვა შესაძლებლობებს. ვიდრე შენობა ადგილზე დგას, იმედიც არის.

ISBN: 978-9941-0-9619-8